# გილოცავთ გიორგობას!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

**19 ნოემბრიდან!**
**ვფ[ფქპ სფჯ,ფ4 +**
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია * კფჰბ ნჯ3ბ№



gfhfcrtdb7 @# yjtv,thb7 @)!@ 1279 (5969) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: ტარიფები არ განახევრდება!“


გვ. 3

## გენერალი გია ვაშაკიძე გია ბარამიძეს წამებაში ადანაშაულებს


გვ. 5



## ინციდენტი პარლამენტში

— გვ. 5 —

დეპუტატებს თავზე გამანათებელი მოწყობილობა დაეცათ

გვ. 5

## გაცოცხლებული ვარდები

ყვავილოვანი გადატრიალებიდან 9 წელი გავიდა



## გელა ნიკოლაიშვილი: ბაჩო ახალაია აუცილებლად ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან“

რა საქმეების გახსნა შეუძლია ყოფილი მინისტრის ჩვენებებს


გვ. 2


გვ. 7

## ვანო მერაბიშვილი: სამწუხაროდ, ქართული ოცნება“ არ აპირებს დაპირებების შესრულებას“

## რა ხდება პოლიტპატიმრების გარშემო

გვ. 2



**16 ნოემბრიდან!**
**ვფ[ფქპ სფჯ,ფ4 +**
ბცნჯჰბბჩელბლტცბ ,ჰ'ჯქტ,ბ
!) კფჰბ



## ნოდარ ნათაძე: სააკაშვილი ქვეყნისთვის საშიშია“

გვ. 4

4 ირაკლი ღარიბაშვილი: ოქრუაშვილის ჩამოსვლა ხელისუფლებისათვის არც მოულოდნელი ყოფილა და არც მოსალოდნელი“

6 ვის უნდოდა გიორგობიანის მოშორება

7 ახალი ხელისუფლება შრომის ბაზრის კვლევას დაიწყებს

10 მთავარი პროკურორი საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს შეხვდა

# გელა ნიკოლაიშვილი: ბაჩო ახალაია აუცილებლად ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან“

## რა საქმეების გახსნა შეუძლია ყოფილი მინისტრის ჩვენებებს

ნონა ცაბაძე

როგორც ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, აღნიშნული საკითხის ჩაგდება ნაციონალების ინტერესებში შედის, რადგან მათ არ უნდათ იმის აღიარება, რომ ქვეყანაში ამდენი პოლიტპატიმარი არსებობს და, სამწუხაროდ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მათ წისქვილზე დაასხა წყალი.

***— ბატონო გელა, როგორია თქვენი, როგორც უფლებათადამცველის შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

— მე ვფიქრობ, პოლიტპატიმრებად ცნობის დადგენილების მიღებისა და შემდეგ მათი გათავისუფლების თემა ხელოვნურად დაიბლოკა. ხელოვნურად მოხდა მისი კონსტატირება, ვინაიდან ხელს არ აძლევდა უმცირესობას ეს აღიარება, რომ მათ ჰყავდათ ამდენი პოლიტპატიმარი, დაახლოებით ორასამდე ადამიანი. ისინი მართლაც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებულნი და აქ როდესაც პოლიტპატიმრებზეა ხოლმე მსჯელობა, არის გაუგებრობა საზოგადოებაში და ძალიან ხშირად პოლიტიკოსები თავად ქმნიან ამ გაუგებრობას. აქ ლაპარაკია იმაზე, ამა თუ იმ ადამიანმა ჩაიდინა თუ არა დანაშაული და ამას სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტს. აქ ლაპარაკია იმაზე, ამ ადამიანის დაპატიმრების მოტივი იყო პოლიტიკური თუ კრიმინალური. ზოგიერთ მათგანს დანაშაული ჩადენილი არა აქვს, ზოგიერთს აქვს ჩადენილი ან ხელოვნურად აქვს დამძიმებული მუხლები, მაგრამ მთავარი არის ის, რომ არ ყოფილიყო პოლიტიკური მოტივი, ეს ადამიანები ციხეში არ აღმოჩნდებოდნენ. ეს არის მთავარი განსახილველი და არა ის, რეალურად ის მოწმე ყალბი იყო, მტკიცებულება რეალურია თუ შექმნილია ხელოვნურად და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ამ სიღრმეებამდე ჩადიან ხოლმე, რაც ადვოკატის, პროკურორისა და მოსამართლის განსახილველია და არა პოლიტიკოსების. იმ ჯგუფმა, რომელმაც წლების განმავლობაში იმუშავა ამ ადამიანების პოლიტიკური სტატუსის მინიჭებაზე, სადაც უფლებათადამცველები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. სწორედ ამ კუთხით მიუდგნენ ისინი და მიუდგნენ საერთაშორისო კრიტერიუმების გათვალისწინებით. ძველი ხელისუფლება ყველანაირად ეცადა, რომ ეს საკითხი გადაედო და, მე ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად იქნება წინააღმდეგობა მათი მხრიდან. მათ, სამწუხაროდ, ეხმარებიან ნებსით თუ უნებლიეთ ის ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც რაღაც ხელოვნურ ბარიერებს ქმნიან. ამბობენ, რომ უფრო სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ, დრო სჭირდებათ და ამით ახანგრძლივებენ პოლიტპატიმრების პატიმრობაში ყოფნას. ის ხალხი დღეებსა და საათებს ითვლის და მათი ციხეებში ყოფნა კი კვირები და თვეები გაგრძელდება.

***— გამოდის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა ნაციონალებს დაუჭირა მხარი?***

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არასამთავრობოების უმრავლესობამ ეს მიიღო. არის ერთიორი არასამთავრობო, რომლებმაც ამაზე პროტესტი გამოთქვეს. უმრავლესობაზე ამას არ ვიტყვი, კონკრეტულად ორმა არასამთავრობომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი. მე ვერ ვიტყვი, რომ ისინი შეკრულები იყვნენ და ეს წინასწარ განზრახვით იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ მათ გამოაყენებინეს თავიანთი პოზიცია ნაციონალებს, რომ თავიანთი შავბნელი საქმეები გაეთეთრებინათ, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც და გადაედოთ იმის აღიარება, რომ მათ ჰყავდათ პოლიტპატიმრები.

**პოლიტპატიმრების საკითხის განხილვამ პარლამენტში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. უმრავლესობის დიდი მცდელობის მიუხედავად, საკითხი ორი კვირით გადაიდო.**




***— ბატონო გელა, უმცირესობა აცხადებს, რომ თითქმის იგორ გიორგაძის და არუთინიანის გარდა ყველა პოლიტპატიმრად აღიარეს, იმ დროს როცა ევროკავშირს ერთი პოლიტპატიმარი არ ულიარებია ჩვენს ქვეყანაში.***

— ევროკავშირის ფუნქცია არც არის, რომ პოლიტპატიმრები აღიაროს, ეს ერთი და მეორე, იგორ გიორგაძის მომხრეები, რომლებიც დაჭერილი იყვნენ, წმინდა წყლის პოლიტპატიმრები იყვნენ და ამიტომ, ბუნებრივია, ისინიც იქნებოდნენ აღიარებული, რომ არ გამოსულიყვნენ. 12-ვე მათგანი უკვე გარეთ არის. რაც შეეხება იგორ გიორგაძეს, იგორ გიორგაძე პატიმარი არ იყო. ის არც გასამართლებულია. იგორ გიორგაძის საქმიანობაში, ჩვენ რომ ის შეგვესწავლა, არ გამოვრიცხავდი, ყოფილიყო მის დევნის პოლიტიკური ნიშნები. ძალიან დიდ ეჭვს იწვევს სწორედ რომ ამ ხელისუფლებამ, რომელმაც მისი მომხრე 12 პირი გაასამართლა და დამნაშავედ გამოაცხადა, არათუ გიორგაძე ვერ გაასამართლა, არამედ მას ბრალიც კი ვერ წაუყენა იმ დანაშაულში, რომლის ორგანიზებაც თითქოს მან მოახდინა. რატომ ვერ წაუყენა ბრალი, საინტერესოა, თუკი ასეთი მტკიცებულებები ჰქონდათ. იმ 12 პირსაც შეთითხნილი ბრალდებები ჰქონდა, უბრალოდ, მათ მოიხადეს სასჯელები და ვეღარ მოესწრო, თორემ ისინიც წმინდა წყლის პოლიტპატიმრები იყვნენ. რაც შეეხება არუთინიანს, მას არ მოუმართავს კომისიისთვის და ამიტომ კომისიას არ განუხილავს მისი საქმე.

***— ბატონო გელა, ასევე ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით ატყდა დიდი ამბავი. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის შეფასებები, ბევრმა თქვა, რომ ის, როგორც პოლიტიკური დევნილი, არ უნდა ყოფილიყო ამ სიაში.***

— ირაკლი ოქრუაშვილი რომ პოლიტიკური დევნილი იყო, ეს საფრანგეთის მთავრობამ აღიარა და არა ვინმე კონკრეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. საფრანგეთის მთავრობამ მას მიანიჭა ოფიციალურად პოლიტიკური დევნილის სტატუსი. აქვე მინდა ვთქვა, არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილს, საფრანგეთის მთავრობამ, გერმანიის მთავრობამ, კანადის, ამერიკისა და სხვა ქვეყნის მთავრობებმა პოლიტიკურად დევნილის სტატუსი მიანიჭეს სხვადასხვა პირს, იქნებოდა ეს ვახტანგ კომახიძე, ქიბარ ხალვაში, თემურ ბასიალია და ძალიან ბევრი. მე ამას იმიტომ ვთვლი, რომ შევარდნაძის ხელისუფლების დროს არც ერთი ადამიანისთვის არც ერთ ქვეყანას არ მიუნიჭებია პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ამ მთავრობის დროს ათეულობით ადამიანია, რომლისგანაც დევნილ ადამიანებს დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭეს. ეს პოლიტიკური პატიმრობა და პოლიტიკური დევნილობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი უდანაშაულონი არიან. ეს არის ფაქტის კონსტატირება, რომ პოლიტიკური ნიშნით ამ ადამიანებს დევნიან და, ვიმეორებ, არ არის გამორიცხული, რომ ამ ადამიანებს ჰქონდეთ ჩადენილი რეალურად დანაშაული. კიდევ გავიმეორებ, პოლიტიკური დევნა არ ნიშნავს იმას, რომ მათ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი და მათ შორის — ოქრუაშვილსაც. მე დარწმუნებული ვარ პირადად, როგორც რიგითი მოქალაქე, რომ ოქრუაშვილს არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ არც იმაზე შეიძლება თვალის დახუჭვა, რომ ის პოლიტიკური დევნილი იყო და ეს დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა.

***— მის ჩამოსვლას რაც შეეხება, ითქვა, რომ თითქოს მან გარანტიები მიიღო ახალი ხელისუფლებისგან და ასე შემდეგ. თქვენი აზრით, რას შეცვლის მისი ჩამოსვლა ან რატომ დაბრუნდა?***

— მისი დაბრუნება ჩემთვისაც ცოტა გასაკვირი იყო. რა თქმა უნდა, ეგ აზრი მეც გამიჩნდა, თუმცა ეს ვარაუდების დონეზე შეიძლება ვთქვათ. შესაძლოა, მას სურს თანამშრომლობა ხელისუფლებასთან თავისი ძველი მეგობრების წინააღმდეგ და რაღაცა მნიშვნელოვანი ინფორმაციების მიცემა. მაგალითად, მე გეტყვით, იგივე ლადო ბედუკაძე, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და რომლის ადვოკატიც მე ვარ, არ არის წინააღმდეგი, ობიექტური სასამართლოს წინაშე წარდგეს და შეეცადოს, იქ დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. შეიძლება, ოქრუაშვილსაც აქვს ამის სურვილი. შეიძლება, კონკრეტულად იმ საქმეში, რაშიც მას ბრალი წაუყენეს, მართლაც უდანაშაულო იყოს ირაკლი ოქრუაშვილი, მაგრამ მას, როგორც დამნაშავე ხელისუფლების წარმომადგენელს, ეჭვი არ მეპარება, რომ არაერთი სხვა დანაშაული ექნება ჩადენილი. მე ასეთი აზრი მომივიდა, რომ შესაძლოა ის თანახმა იყოს, ითანამშრომლოს, ანუ მისცეს ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები გამოძიებას თავისი ყოფილი მეგობრების, თანაგუნდელების წინააღმდეგ და შესაძლოა ამით მოიპოვოს რაღაცა შანსი, რომ მასთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმება ხომ სწორედ იმისთვის არის, რომ ადამიანმა, რომელიც უფრო დიდ დანაშაულს გაახსნევინებს, გარკვეული შეღავათები უნდა მიიღოს. შესაძლოა, ამ შეღავათების მიღების საშუალება ჰქონდეს ირაკლი ოქრუაშვილს, თუ ის დღევანდელ ხელისუფლებას დიდ დანაშაულებს გაახსნევინებს.

***— გამოდის, რომ საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირებზე გავლენ.***

— რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ირაკლი ოქრუაშვილი არ იყო იმ ხელისუფლებაში რიგითი წარმომადგენელი. ის, ფაქტობრივად, მეორე პირი იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისი გავლენით. სააკაშვილის შემდეგ ის ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო და ყველა შავბნელი საქმე მის გარეშე, ალბათ, არ გაკეთდებოდა და ამიტომ ის დიდი ინფორმაციის მატარებელია, ისევე, როგორც ბაჩო ახალაია. მართალია, მას იმხელა გავლენა არ ჰქონდა, როგორიც ოქრუაშვილს, მაგრამ მაინც დიდი გავლენა ჰქონდა. ის პრეზიდენტის გარემოცვის ხუთეულში შედიოდა. აქედან გამომდინარე, ასეთ ადამიანებს აქვთ შანსი, რომ თავიანთი დანაშაულები გამოისყიდონ გულწრფელი ჩვენებებით და დიდი დანაშაულების გახსნაში დახმარებით.

***— როგორ ფიქრობთ, თუკი ახალაია დათანხმდება და ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან, მასთან უნდა გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და ის უნდა გათავისუფლდეს სასჯელისგან?***

— გააჩნია, რა მასალებს დადებს და რა დანაშაულებზე გაიყვანს ხელისუფლებას. საპროცესო შეთანხმება არ ნიშნავს, რომ ის ხვალ გამოვა. მაგალითად, თუ ადამიანს 23 ან 30 წელი ეკუთვნის კანონის მიხედვით, შესაძლოა, მას ოთხი და ხუთი წელი გაუფორმდეს და ასეთი შეღავათები შესაძლებელია მის მიმართ იქნეს გამოყენებული. ჩემი პირადი აზრით, ასეთი მძიმე დანაშაულის ჩამდენი ამას რამდენად იმსახურებს, ეს უკვე მეორე მორალური მხარეა და აქ სხვადასხვა აზრი შეიძლება არსებობდეს,

***— არ გამორიცხავთ, რომ ბაჩო ახალაია წავიდეს ამ თანამშრომლობაზე?***

— მე არ გამოვრიცხავ და უფრო მგონია, რომ ეს მოხდება, თუმცა არ მოხდება ძალიან მალე, რამდენიმე კვირაში ან რამდენიმე თვეში. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაია დარწმუნდება, რომ ძველი პატრონები ვერ ეხმარებიან. ახლა მას გარკვეული გარანტიები აქვს. ზნეობრივ გმირად და ცოტნე დადიანად გამოცხადების შეპირებები და ხომ ხედავთ, რა მცდელობებია ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, როგორ გაათეთრონ ის და როგორ შედიან მასთან ყოველდღე, ამხნევებენ, ნუ გეშინია, ჩვენ აქ ვართ და სანამ ეს იმედი ექნება, რა თქმა უნდა, ის ამ თანამშრომლობაზე არ წავა და იტყვის, რომ ყველაფერში მართალია. როცა ეს იმედები რეალურად გადაიწურება, მაშინ, მე ვფიქრობ, დადგება მომენტი, როდესაც გააცნობიერებს რეალობას, თავის მდგომარეობას და თანამშრომლობაზე წავა.

შორენა გონგლაძე

# რა ხდება პოლიტპატიმრების გარშემო

ახალი მთავრობის მიერ ნებით თუ უნებლიეთ დაშვებულ „ჩეპეებს“ შორის ყველაზე თვალსაჩინოდ შეიძლება პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების სიის შედგენის გარშემო აგორებული სკანდალი მივიჩნიოთ. მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა დავით საყვარელიძემ სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილ პოლიტპატიმრების სიას უნდობლობა გამოუცხადა და ეკა ბესელიას სთხოვა იმ კონკრეტული ორგანიზაციების დასახელება, რომლებიც კონკრეტული პატიმრების გათავისუფლებას ლობირებენ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. ბესელია უხერხულობიდან ისევ საკუთარმა თანამებრძოლმა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გამოიყვანა, როდესაც უსუფაშვილმა საყვარელიძეს განუმარტა, რომ ბესელიას არც ერთი პროცედურა არ ავალდებულებს ამის გაკეთებას და თუ თავად რაიმე სახის ინფორმაციას ფლობს, შეუძლია წარმოადგინოს. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო უმცირესობის მიერ პოლიტპატიმრების „შინაურ პატიმართა ნუსხად“ შერაცხული პოლიტპატიმართა სიის სკანდალმა არამარტო უმცირესობის აღშფოთება გამოიწვია. თუმცა საინტერესოა, რატომ არ გაჩნდა მსგავსი კითხვები ყბადაღებულ სიასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამუშაო ჯგუფი კონსტიტუციის 42-ე მუხლმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დატოვეს და შესაბამისი განმარტებაც გააკეთეს. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში თვალნათლივაა ნათქვამი, რომ სამუშაო ჯგუფის მუშაობისას გამოვლინდა არაერთი პრობლემა, რომლებიც ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ჯგუფის ეფექტიანად მუშაობისათვის, ასევე, სამუშაო ფორმატი და ვადები არ იძლევა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას.

აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ დადგენილი ორკვირიანი ვადის ფარგლებში და ჯგუფის მიერ განსაზღვრული ფორმატით შეუძლებელია იყო სრულყოფილი დასკვნების მომზადება.

სამწუხაროდ, სამუშაო ჯგუფის წევრებს რატომღაც არც კი უცდიათ იმ ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინება, რაც მუშაობის პროცესის დასაწყისშივე გაჩნდა და რამაც ორი ორგანიზაციის პროტესტი გამოიწვია. კონსტიტუციის 42-ე მუხლის და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ: „ჯგუფში აღნიშნულის თაობაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ვერ კისრულობს ამ ფორმატით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის ვალდებულებას“. როგორც ჩანს, ვიღაც ძალიან ჩქარობდა. მიუხედავად ამისა, პოლიტდევნილებთან და პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტის დამტკიცება მომდევნო სესიისთვის გადაიდო.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგში იყო შეტანილი და დადგენილების პროექტი დეპუტატებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ გააცნო, საკითხის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილი: ტარიფები არ განახევრდება!“

ნათია ხურცილავა

**პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს პირობა მისცა, რომ ის რეგულარულად შეხვდება ჟურნალისტებს და თვეში ერთხელ ჩვენს კითხვებს უპასუხებს.**

სასტუმრო „რედისონში“ გუშინ პრემიერმა ერთთვიანი საქმიანობა შეაჯამა და პრესის კითხვებსაც უპასუხა.

ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ყველამ უნდა მიიღოს ის, რაც სამართლიანად ეკუთვნის – მათ შორის ციხეც.

როგორც ივანიშვილისგან გახდა ცნობილი, უშიშროების საბჭოს მდივანი „წითელ ხაზებს“ ითხოვს.

აღნიშნული განცხადება ივანიშვილმა წინა ხელისუფლებასთან, მათ შორის პრეზიდენტთან თანამშრომლობის თაობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ გააკეთა. პრემიერ-მინისტრი განმარტავს, რომ თანამშრომლობის მექანიზმებს პირველი ეტაპისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფები ვერ განსაზღვრავს და გიგა ბოკერია ვერ უკარნახებს პროკურორს, ვინ უნდა დაიჭიროს და ვინ – არა. როგორც ივანიშვილი აცხადებს, სააკაშვილთან და მის გუნდთან თანამშრომლობა მხოლოდ კანონისა და სამართლის ფარგლებში მოხდება.

– კანონმდებლობა და სამართლიანობა იქნება ჩვენ შორის თანამშრომლობის განმსაზღვრელი და ეს არ მოხდება ისე, როგორც ბოკერია მიიჩნევს, „წითელი ხაზების“ გავლებასთან დაკავშირებით. ვისაც რა ეკუთვნის სამართლიანად, ის უნდა მიიღოს, მათ შორის ციხეც, – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

ბიძინა ივანიშვილი თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ აღარ არის ის დრო, როდესაც პრემიერმა შეიძლება უკარნახოს პროკურორს, ვინ დაიჭიროს და ვინ არა. – უგულავას გუშინდელი განცხადება, რომ პრემიერს მიმართავს დაჭერაზე, ასე არაა. მე პროკურორს კვირაში ერთხელ ვნახულობ. ისე აღარაა, რასაც ისინი მიეჩვივნენ, რომ მე ვკარნახობ პროკურორს ვინ უნდა დაიჭიროს და ვინ არა. არის რიგები, მოსახლეობა წერს საჩივრებს. ეს რიგები, რომ შემცირდეს მე მოვუწოდებ ჩვენს ოპონენტებს, რომ ძალადობრივი და სიცრუის რიტორიკა შეცვალოს.

ბიძინა ივანიშვილს კოაბიტაციასთან დაკავშირებითაც ჰკითხეს. პრემიერის თქმით, თანამშრომლობა მხოლოდ კანონიერების ფარგლებში მოხდება.

– ძირითადი მექანიზმი ჩვენი თანამშრომლობის ის ჯგუფი ვერ იქნება, რომელიც შეიქმნა ჩვენსა და მათ შორის. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი გიგა ბოკერია სულ იძახის, რომ „წითელი ხაზები“ უნდა გაივლოს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხებთ, რომ დავსხდეთ და ბოკერიასთან ვავლოთ წითელი ხაზები იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ვინ როგორ მოექცევა. ჩვენი თანამშრომლობისთვის განმსაზღვრელი კანონმდებლობა იქნება. ჩვენ მათთან მხოლოდ ვითანამშრომლებთ კანონისა და სამართლიანობის ფარგლებში და ეს შეიძლება გადაზუსტდეს მუშა ჯგუფთან. ეს არ იქნება ისე, როგორც ისინი ცდილობენ, რომ ჩვენ დამნაშავეებს არ შევეხოთ და თუ შევეხებით, ისინი გააფორმებენ ამას როგორც პოლიტიკურ დევნად. თანამშრომლობა მოხდება საზოგადოებისთვის გამჭვირვალე თემებზე. ამ მუშა ჯგუფით, რომელიც კვირაში ერთხელ ან ორჯერ ხვდება ერთმანეთს, შეიძლება მოხდეს პატარა საკითხების კოორდინაცია და არა ის, რომ იქ შევათანხმოთ ბოკერიასთან, პროკურორი ვის დაიჭერს და ვის არა, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, კოაბიტაცია აბსოლუტურ თანხვედრაში მოდის საკონსტიტუციო ცვლილებებთან.

– ჩემი გადმოსახედიდან საჭიროზე მეტი იქნება ხმა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდეს.

– პოლიტიკურად პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიცირება არ მოხდება – ამბობს ივანიშვილი.

ივანიშვილი აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებას მოახდენს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციურად მმართველობის საპარლამენტო მოდელის ამოქმედება პრეზიდენტის არჩევნებამდე მოხდება.

– იმ არჩევნების შემდგომ, რომელიც 1 ოქტომბერს გაიმართა და საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა ამ არჩევნების შემდგომ, ლოგიკური იქნებოდა, რომ პრეზიდენტიც რაც შეიძლება სწრაფად ამ ახალი კონსტიტუციას დაექვემდებაროს. ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ ქართული და საერთაშორისო საზოგადოება, რომ შეიძლება ცვლილებები შევიდეს კონსტიტუციაში და შესაბამისობაში მოვიდეს პრეზიდენტის პოსტიც ახალ კონსტიტუციასთან. ახალი კონსტიტუციით ჩვენ არ გავაკეთებთ პოლიტიკურად იმპიჩმენტის ინიცირებას. შევინარჩუნებთ პრეზიდენტს, მაგრამ ახალი უფლება-მოვალეობებით. ახალი კონსტიტუცია ძალაში უნდა შევიდეს არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არამედ უფრო ადრე. თუმცა არჩევნები იქნება ოქტომბერში.



– მე პოლიტიკიდან იმ შემთხვევაში წავალ, თუ ეფექტურ ხელისუფლებას დავტოვებ და ჩვენ მიერ წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით არავის ეჭვები და კითხვები არ დარჩება, მაგრამ თუ გაჩნდება ეჭვები და კითხვები დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით, არსად წავალ, – აცხადებს ივანიშვილი, რომელიც თვლის, რომ ამ თემას ბევრი სპეკულაცია და ინსინუაცია მოჰყვა.

ივანიშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 2014 წლიდან ხელისუფლებიდან სამოქალაქო სექტორში გადასვლისა და ხელისუფლების არასამთავრობო სექტორიდან კონტროლის სურვილი.

კითხვა საქართველოში დაბრუნებულ ირაკლი ოქრუაშვილზეც დაისვა. ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნების შესახებ 20 ნოემბრის საღამოს, მაია ფანჯიკიძისგან შეიტყო.

– შემიძლია დავიფიცო, რომ ამის შესახებ გუშინწინ საღამოს შევიტყვე. მე და მაია ფანჯიკიძე სულ სხვა საკითხზე ვმსჯელობდით და მაიამ მითხრა, რომ ჩემს მისაღებში გაიგო ოქრუაშვილის ჩამოსვლის შესახებ. თურმე დილით ჩამოსულა, დაუკავებიათ და მე საღამოს გავიგე. ეს ჩემი დიდი მინუსია, რომ დრო არ მაქვს ინფორმაციის მისაღებად. ინფორმაცია მეორადად მიმაჩნია, – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მთავრობის წევრების კავშირს და ოქრუაშვილისთვის რაიმე სახის გარანტიების მიცემას, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ცენტრალიზებულად მასთან კავშირი არ ყოფილა.

– არ გამოვრიცხავ, რომელიმე მინისტრს მასთან ჰქონდა კავშირი. არავითარი გარანტია არავის ექნება. კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს, მეც და პრეზიდენტიც. ასე იქნება ოქრუაშვილიც. თუ იგი იქნება დამნაშავე, პასუხს აგებს, თუ არა გათავისუფლდება, – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრესკონფერენციის დროს გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვისას შეიტყო ოქრუაშვილის გვარის იმ სიაში არსებობის შესახებ, რომელიც პარლამენტში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და დევნილთა კუთხით შეიქმნა.

– ოქრუაშვილის საქმის განხილვა არც ერთ შემთხვევაში პოლიტიკურ ჭრილში არ მოხდება. მასთან დაკავშირებით მხოლოდ კანონის მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული და გადაწყვეტილებას პროკურატურა და სასამართლო მიიღებს. საქმეს სამართალი გადაწყვეტს.

ბიძინა ივანიშვილი გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფების განახევრებაზე საუბარს გადაჭარბებულად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს არ გამოვა. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ტარიფებთან დაკავშირებული პროცესი გაჭიანურდა, რადგან ახალმა მთავრობამ ფასწარმოქმნაში ბოლომდე გარკვევა ჯერ ვერ მოახერხა.

– ტარიფების განახევრება, რასაც ველოდი, არ გამოვა და როგორც ჩანს, გადაჭარბებულად ვსაუბრობდით. საპარტნიორო ფონდის პრეზიდენტი ირაკლი კოვზანაძე და მისი მოადგილე გიორგი ბაჩიაშვილი ელექტროენერგიასთან დაკავშირებით თურქეთში თურქულ კომპანიას ხვდებიან. გარდაბანში დაგეგმილი იყო თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 200 მილიონ დოლარზე მეტი ჯდებოდა. ეს „ინტერ რაოსს“ უნდა დაეფინანსებინა იმ საინვესტიციო თანხიდან, რომელსაც ელექტროენერგიის 16-თეთრიანი ტარიფი მოიცავდა. 16 თეთრში მოიაზრება საინვესტიციო თანხა, რომელიც აუცილებელია და რომელიც ყოველთვის შედის ტარიფში – ეს არის სისტემის სრულყოფის თანხები. ამ თანხიდან „ინტერ რაოს“ უნდა დაეფინანსებინა შესატყვისი მშენებლობა გარდაბანში.

მისივე ინფორმაციით, ამის მიუხედავად, 50 მილიონი გადახდილია საპარტნიორო ფონდიდან, რომელსაც მშენებლობასთან კავშირი არ აქვს და მთავრობა ცდილობს ამ ხელშეკრულების დარღვევას დანაკარგების გარეშე.

– ტენდერიც გაუგებრად იყო ჩატარებული. ჩვენ გვინდა გავწყვიტოთ ხელშეკრულება და თავიდან გამოვაცხადოთ ტენდერი. შესაძლოა, აშენებასაც ცვლილებები შეეხოს. ამ საკითხებს შევისწავლით. შესყიდვებსა და ტრანზიტებშიც ბევრი კითხვებია. ტარიფი, შეიძლება შევამციროთ, მაგრამ განახევრება არ მოხერხდება. მოვახერხებთ მოსახლეობის მეტ სუბსიდირებას, რომ აქედან მიიღონ შეღავათი. ტარიფების განახევრებაზე უარს ვამბობ, – განაცხადა ივანიშვილმა.

გუშინ გაირკვა, რომ პარლამენტი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებული საჯარო მოხელეების ამნისტიის პროექტზე მუშაობს.

ივანიშვილის თქმით, ახალ ხელისუფლებას არ აქვს განცდა, რომ ყველას, ვინც კანონი დაარღვია, პასუხი მოსთხოვოს.

– შეუძლებელი იქნება, ყველას პასუხი მოვთხოვოთ. ვცდილობთ ამნისტიის მსგავსი პროექტი გავაკეთოთ, რომელიც გავრცელდება იმ საჯარო მოხელეებზე, რომლებმაც ძალაუფლებას გადაამეტეს. ეს, რა თქმა უნდა, მინისტრებს და მათ მოადგილეებს არ შეეხება, საუბარია რიგით საჯარო მოხელეებზე. ამაზე პარლამენტი უკვე მუშაობს და გვინდა შევაჩეროთ ეს პროცესი, რომ მუდმივად არ გაგრძელდეს.

რაც შეეხება გახმაურებულ საქმეებს, პრემიერის განმარტებით, მათზე გამოძიება უნდა ჩატარდეს.

– ჩვენი სურვილია, ეს პროცესები მალე დასრულდეს, მაგრამ სამართლიანობის განცდა ქვეყანაში უნდა დაბრუნდეს, ის დანაშაულები, რომლებზეც კითხვები არსებობს, უნდა განიხილოს სასამართლომ და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ასაკით პენსიონერების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პენსია, როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს 2013 წლის 1 სექტემბრიდან დღეს არსებულ საარსებო მინიმუმს 150 ლარს გაუტოლდება.

თუმცა, ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, მოგვიანებით საარსებო მინიმუმიც გადაიხედება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მომავალი წლის 1 აპრილიდან 67 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის შესაძლებელი იქნება ისეთივე პენსიის დანიშვნა, როგორიც მათზე უფროსებს ჰქონდათ და 100-ის ნაცვლად 125 ლარი იქნება.

ასევე, 1 სექტემბრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს 70 ლარი, მარჩენალდაკარგულების 55 და პოლიტრეპრესირებულების 55 ლარი გათანაბრდება და 100 ლარამდე გაიზრდება.

– აღმოიფხვრება 2005 წელს ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფაში არსებული დისკრიმინაცია და მათი პენსია 2013 წლიდან მუშაობის სტაჟზე და წოდებებზე იქნება დამოკიდებული. იგივე მიდგომა შეეხებათ სამოქალაქო ავიაციიდან დათხოვნილ პირებსაც. ამისთვის დამატებით 19 მილიონი გამოიყოფა. 1 ივლისიდან უკიდურესად გაჭირვებული 480 ათასი ადამიანისთვის სოციალური დახმარება გაორმაგდება. რეპრესირებულთა პენსია აღდგება და დევნილების სოციალური დახმარებაც გაორმაგდება.

რაც შეეხება დაზღვევას, ივანიშვილის ინფორმაციით, შეიქმნება სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო ფონდი, რომელიც ამ საკითხზე იზრუნებს.

– პირველ ეტაპზე, დაახლოებით 3-4 თვე იქნება მცირე სადაზღვევო პაკეტი და ივლისის ბოლოდან სრულყოფილი პაკეტი გახდება. საყოველთაო დაზღვევის დაწყება ტექნიკური მიზეზებით იანვრის ბოლოზე ადრე ვერ განხორციელდება და ბიუჯეტიდან ამაზე 256 მილიონი გამოიყოფა. დღევანდელი ბიუჯეტი არის წინა ხელისუფლების დატოვებული და კონკრეტული რიცხვების და თვეების დასახელება ძალიან მიჭირს. ბიუჯეტის ოპტიმიზაციით და პრიორიტეტების შეცვლით მოვახერხებთ ჩვენი დაპირებების დიდი ნაწილის შესრულებას. ბევრი გაუაზრებელი ხარჯი ჰქონდა წინა ხელისუფლებას. გავაკეთეთ ხარჯების ოპტიმიზაცია და არსებულ ბიუჯეტშივე დიდი ეკონომიის საშუალება გაჩნდა. აქტუალური გახდა ბიუჯეტის სოციალური ნაწილი, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის შეფასებით, დავით სერგეენკო კარგი მინისტრია, მან შეამცირა სამინისტროს ბიუჯეტი.

ამავდროულად, ხარჯების ეკონომიისა და ოპტიმიზაციის მიზნით სამინისტროების შესყიდვები ცენტრალიზებული გახდება.

– კანცელარიასთან იარსებებს ერთი შესყიდვითი ორგანო, რომელიც შსს-ს გარდა ყველა სამინისტროს შესყიდვებს გააკონტროლებს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს ხარჯების ეკონომია და ოპტიმიზაცია, – აღნიშნა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს სახალხო დამცველის კანდიდატურის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზეც მოუწია პასუხის გაცემა. ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ სახალხო დამცველობის კანდიდატის, ნინა ხატისკაცის მეუღლის მესტიის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ინტერესთა კონფლიქტი არ არის. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ამ ლოგიკით სახალხო დამცველის ოჯახის წევრი არ უნდა დასაქმდეს.

– რაც შეეხება ხატისკაცის მეუღლის დანიშვნას გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად. მე ცუდად ვერკვევი ამ პროცესებში, მაგრამ პირადად ჩემი აზრით, ეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს. ამ ლოგიკით რომ წავიდეთ, მაშინ ომბუდსმენის ოჯახის წევრი ვერსად ვერ უნდა დასაქმდეს და აკრძალული უნდა იყოს. ასეთი აკრძალვა მე როგორც ვიცი, არ არსებობს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, ივანიშვილი აცხადებს, რომ უმრავლესობამ ფორმა დაარღვია, როდესაც ხატისკაცი დაასახელა კანდიდატად.

– თვითონ ფორმა, როდესაც უმრავლესობამ ხატისკაცი განიხილა ომბუდსმენის კანდიდატად, ოდნავ დაირღვა. პრიორიტეტი ჩვენ გვქონდა მიცემული სამოქალაქო საზოგადოებაზე და ეს იყო ჩემი დიდი სურვილი, რომ მაქსიმალურად მათთვის მიგვეცა სახალხო დამცველის გამოვლენის საშუალება. რაღაც ეტაპზე ეს ფორმა დაირღვა და ახლა ვცდილობთ, ეს აღვადგინოთ. ერთ-ერთ კანდიდატად უჩა ნანუაშვილი განიხილება და მასზე მოსმენა იქნება. კიდევ არის სხვა კანდიდატებზე საუბარი და მათაც თუ სურვილი ექნებათ, უმრავლესობა მოუსმენს მათაც და ამის შემდგომ გაკეთდება არჩევანი, ხატისკაცი იქნება სახალხო დამცველი თუ სხვა.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე ისაუბრა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. პირველი არხის ჭეშმარიტად საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი მზად არის, ტელეკომპანია მეცხრე არხის ქონება მთლიანად მას გადასცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭეშმარიტად საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის პერსპექტივას ივანიშვილი „მეხრე არხის“ ბაზაზე ხედავს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მას, როგორც პრემიერ-მინისტრს, არ სურს, მისი მეუღლე ტელეკომპანიაში წილს ფლობდეს.

– თუ უახლოეს პერიოდში მოხერხდა და პირველი არხი ჭეშმარიტად საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდება, რომლის ბორდის საქმიანობაც იქნება გამჭვირვალე და ყველასთვის გასაგები, ასეთ შემთხვევაში ვფიქრობ, ქონება, რომელიც მეცხრე არხს აქვს, პირველ არხს ვაჩუქო. კარგი იქნება, ტელეკომპანიის მთელი გუნდი გადავიდეს იქით. თუ ეს არ მოხერხდა, არ გამოვრიცხავ, ჭეშმარიტად საზოგადოებრივი ტელევიზია მეცხრე არხის ბაზაზე შეიქმნას. ამას კი გამჭვირვალედ გავაკეთებთ. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, 20 წლით წინასწარ გადავიხდი ფულს და ოჯახთან დამოკიდებულების კავშირიც „ჩაიხსნება“ – აცხადებს ივანიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ „უფრო ლამაზი“ პირველი არხის დარჩენაა.

როგორც გაირკვა, გასაიდუმლოებულად, როგორც პრეზიდენტი ამბობს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 126 000 ჩინელის ჩასახლება იგეგმებოდა.

როგორც ცნობილი გახდა, ერთ ლარად გასხვისებულ 420 ჰექტარზე მთელი კომპლექსის მშენებლობაა დაგეგმილი.

– კვირას, დილით გამაღვიძა ეკონომიკის მინისტრმა. ძალიან ადრე დარეკა. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემთან სამი მინისტრი მოვიდა და მითხრეს, რომ თბილისის ზღვაზე რაღაც საშინელება პროექტი კეთდებოდა. ვერკვევით ჩვენ ამაში. კონტრაქტში არ წერია, მაგრამ ეს მინისტრები შეხვდნენ ჩინურ მხარეს, რომლებმაც თქვეს, რომ 126.000 ჩინელი უნდა დასახლებულიყო ამ პროექტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე. 126.000-ის კომპაქტურად დასახლება ალბათ, სწორი არ იქნება და ამას კონსტიტუციაც ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნებში. მე უსუფაშვილს დავუძახე და ვთხოვე, მოხდეს დარეგულირება მიგრაციის შესახებ და სხვა საკითხებზე კანონის, რომ არ შეგვეშინდეს სიახლეების. ეს იყო საიდუმლო და ამის შესახებ საზოგადოებამ არ იცოდა. თავად კონტრაქტზე ეს არ ეწერა და შეიძლება სიტყვიერი შეთანხმება იყო, რომ ეს მომხდარიყო, – განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც მოქალაქემ, პარტია „ნაციონალურ მოძრაობაზე“ კომენტარი გააკეთა.

– ჩემი, როგორც მოქალაქის, და არა როგორც პრემიერ-მინისტრის მოსაზრებაა, რომ მე ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავ ამ პარტიის, რამდენადაც ძალიან კომპრომეტირებულია საზოგადოებაში. ჩვენ მოვახერხებთ, რომ იყოს თავისუფალი და დემოკრატიული ნებისმიერი მომავალი არჩევნები. ასეთ არჩევნებში, ჩემი აზრით, მათ არ აქვთ პერსპექტივა. ხალხი ვერ დაივიწყებს ასე მალე ამ პარტიისგან მიყენებულ წყენას. თუ უმცირესობა გამოვა და იტყვის, რომ ცუდად გვექცევიან და ეს ყველაფერი არის პოლიტიზებული, ჩვენი მსაჯი არის საზოგადოება, ხვალვე გავყვებით არჩევნებში. მე ვერ ვხედავ ჯანსაღი არჩევნების პირობებში, ვინ და რატომ უნდა მისცეს მათ ხმა, – განაცხადა ივანიშვილმა.

# რა ხდება პოლიტპატიმრების გარშემო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მომდევნო სხდომისთვის გადადება თავად ბესელიამ ითხოვა.

როგორც გაირკვა, დადგენილების პროექტს იმ ფაქტის გათვალისწინებით აღარ უყარეს კენჭი, რომ კომიტეტთან არსებულ სამუშაო ჯგუფს დამატებით ორკვირიანი ვადა აქვს ხარვეზებით შესული განცხადებების განსახილველად და სხვა პირების საქმეების შესასწავლად. ამ პერიოდის განმავლობაში ჯგუფი 15-ზე მეტი პატიმრის საქმეს შეისწავლის. ეკა ბესელიამ განმარტა, დროის სიმცირის გამო პროცედურების სრულად გავლა ყველამ ვერ შეძლო.



„ეს საკითხი ძალიან სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს, მაგრამ ამავდროულად, ძალიან სამართლიანად, იმიტომ, რომ, როგორც აღმოჩნდა, ამ სიის გარდა პოლიტიკურ პატიმრობაში კიდევ რამდენიმე ადამიანი რჩება. ამ პირებთან დაკავშირებით ამ მოკლე დროში საქმეების შესწავლა და გადაწყვეტილებების მიღება ვერ მოესწრო“, – აღნიშნა ბესელიამ. მისივე თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი პოლიტპატიმარი ციხეში არ დარჩეს.

დადგენილების პროექტის დამტკიცების გადადებას ნანა კაკაბაძის უკმაყოფილება და აღელვება მოჰყვა. არასამთავრობო ორგანიზაციის – „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ამ საკითხზე პარლამენტის ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს შეეკამათა. მისი თქმით, სიაში შეყვანილ პატიმრებს ციხიდან ღირსეულად გამოსვლა სურდათ. მანანა კობახიძის განმარტებას, რომ ისინი, შესაძლოა პრეზიდენტის მიერ შესაწყალებელთა სიაში მოხვდნენ, ნანა კაკაბაძემ უპასუხა, რომ ისინი სტატუსის აღიარებას ელოდნენ.

„პრეზიდენტი გამოუშვებს, როგორც კრიმინალებს. ეს ხალხი ებრძოდა რეჟიმს და ამ ხელისუფლებისგან სტატუსის აღიარებას ელოდა. ამისთვის იტანჯებოდნენ ციხეებში“, – განაცხადა კაკაბაძემ. პოლიტდევნილებთან და პოლიტპატიმრებთან დაკავშირებული დადგენილების პროექტი პარლამენტის მომავალი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შევა, რომელიც 5 დეკემბერს გაიმართება. ამ დროისთვის შესწავლილი საქმეებიდან პარლამენტი პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას – 186, პოლიტდევნილის კი 22 პირი ელოდება.

შეგახსენებთ, რომ პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებისას სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის რეზოლუცია №1900-ს, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ პატიმრად პირის მიჩნევის კრიტერიუმებს. აღნიშნული რეზოლუციის მიხედვით, პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატიმრად: თუ დაკავება მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და მისი ოქმებში მოყვანილი ფუნდამენტური გარანტიების დარღვევით, კერძოდ, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება; გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება; და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. ასევე, თუ დაკავება მოხდა წმიდა პოლიტიკურ მიზნების გამო და არ იყო დაკავშირებული რაიმე დარღვევასთან. თუ პოლიტიკური მოტივით დაკავების ხანგრძლივობა და მისი პირობები იმ დანაშაულის აშკარად არაპროპორციულია, რომლის ჩადენაში პიროვნება ბრალდებულ იქნა ან ეჭვმიტანილია. თუ პოლიტიკური მოტივით განხორციელებული დაკავება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს სხვა პირებთან შედარებით და იმ შემთხვევაში თუ დაკავება აშკარად სამართლიანობას მოკლებული სასამართლოს განხილვის შედეგია და დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან“.

# სასჯელაღსრულების სამინისტროდან 16 თანამშრომელი დაითხოვეს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსული სატელეფონო შეტყობინებებისა და მსჯავრდებულთა მომართვების საფუძველზე, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სპეციალური შემოწმებები ჩატარდა.

სამინისტროს ინფორმაციითვე, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სასჯელაღსრულების სისტემიდან დათხოვნილი იქნა 16 მოსამსახურე, 2 პირს კი საყვედური გამოეცხადა.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილი: ოქრუაშვილის ჩამოსვლა ხელისუფლებისათვის არც მოულოდნელი ყოფილა და არც მოსალოდნელი“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლა ხელისუფლებისთვის „არც მოულოდნელი იყო და არც მოსალოდნელი ყოფილა“. მან ამის შესახებ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ეთერში, გადაცემა „ეკა ბერიძის მთავარ კითხვაში“ სტუმრობისას განაცხადა.

„ჩამოვიდა პიროვნება, ის იყო ძებნილი და ჩვენ კანონის შესაბამისად ვიმოქმედეთ — ის დავაკავეთ. თუ მას სურვილი აქვს, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მოგვაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენ ამას მივესალმებით. რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან არ ექნება ადგილი რაიმე ზეწოლას ან მოთხოვნას, რომ მან აუცილებლად ითანამშრომლოს გამოძიებასთან, ეს მისი სურვილი და უფლებაა. თუ ირაკლი ოქრუაშვილი მოწმის სახით დაიკითხება და გამოძიებას ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის, ჩვენ ამ ფაქტს მხოლოდ მივესალმებით და აუცილებლად გავითვალისწინებთ“, -— აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის თქმით, ხელისუფლების მიზანი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების სამართლებრივი დევნის დაწყება არ არის.

„ჩვენი მიზანია, ვემსახუროთ ხალხს და ქვეყანას. თუ დავინახავთ, რომ დარღვეულ იქნა კანონი, ჩვენ ეს კანონი უნდა დავიცვათ და აღვადგინოთ სამართლიანობა“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ნოდარ ნათაძე: საააკაშვილი ქვეყნისთვის საშიშია“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

***– ბატონო ნოდარ, 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის, ნაციონალების ხელისუფლების 9-წლიანი ისტორიას როგორ შეაფასებთ? რა ფენომენი იყო ნაციონალური მოძრაობა და რა მოუტანა მისმა მმართველობამ საქართველოს?***

– ნაციონალური მოძრაობა იყო ავთვისებიანი ლაწირაკების ხელისუფლება. ისინი იყვნენ გონებრივად მოუმწიფებელი ადამიანები, რომლებიც ავანტიურისტულად მზად იყვნენ ყოველგვარი დანაშაულისთვის საქართველოს წინააღმდეგ. მათი დავალება იყო საქართველოს დანგრევა – პირდაპირ, მიზანმიმართული, დივერსანტული დანგრევა. ისმება კითხვა, ვისი აგენტები იყვნენ ნაციონალები? ამაზე არსებობს ცალსახა პასუხი: ისინი იყვნენ რუსეთის აგენტები, მაგრამ რუსეთის ნებართვით და რუსეთის მიერ დაშვებულ ფარგლებში ემსახურებოდნენ ყველა სხვას. რა თქმა უნდა, დემოკრატიულ დასავლეთთან, რომელიც დღეს არის მსოფლიოს ყველაზე განვითარებული და პოტენციურად ყველაზე ძლიერი ნაწილი, ყველა „ჩესტზე“ დგას. მის წინააღმდეგ ვერავინ მიდის. ნაციონალები ემსახურებოდნენ რამდენიმე ლობის, ემსახურებოდნენ რამდენიმე მეზობელ ქვეყანას. ეს ყველაფერი რუსეთის გაანგარიშებით და რუსეთის ნებართვით. რუსეთის გარეშე ნაციონალები ვერაფერს გააკეთებდნენ. ასევე სააკაშვილის ხელისუფლებისთვის პროდასავლური პოლიტიკა სავალდებულო იყო და ვერ გადაუხვევდა, მაგრამ რუსეთის ინსტრუქციით ყოველთვის რაღაცას ტეხავდა რუსების სასარგებლოდ. მაგალითად, არის პროგრამა, რომ საქართველო ნატოში უნდა შევიდეს. რას აკეთებს ამისთვის სააკაშვილი? გარბის, გამორბის, მაგრამ როდესაც ბუქარესტის სამიტამდე რჩება 3-4 თვე, მაშინ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მოწმენდილი ცის ფონზე, უცბად 7 ნოემბერს ბარბაროსულად არბევს დემონსტრაციას. მანამდე თავს ესხმის კარვებში მძინარე მოშიმშილეებს. თან ცრემლსადენი გაზის მაგივრად ხმარობს მხუთავ გაზს. ეს ცნობები ყველგან მიდის. ამ დროს დღის წესრიგშია საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი. ამ დარბევით მერკელს, რომელსაც არანაირად არ უნდა ჩვენი ნატოში გაწევრიანება, აძლევს არგუმენტს, რომ თქვას, რა უნდათ ამათ ნატოში, კაციჭამიები არიან, მოქალაქეებს პოლიტიკურ საფუძველზე გაზით წამლავენო. ამას ნაციონალები აკეთებენ რუსეთის სასარგებლოდ. ასე რომ, სააკაშვილი იძულებული იყო, მთელი თავისი კარიერის მანძილზე გაჰყოლოდა დასავლეთის კურსს, მაგრამ ამ ფონზე, ტეხავდა რაღაც-რაღაცებს რუსეთის სასარგებლოდ.

***– რაღაცებს თუ ძალიან მნიშვნელოვანს?***

– ძალიან ბევრ რაღაცებს აკეთებდა სააკაშვილი რუსეთის სასარგებლოდ. 2008 წლის ომის დროს სააკაშვილი მთავარსარდალი და ქვეყნის პრეზიდენტი გახლდათ. მან რუსეთთან შეთანხმებით, რუსული ნოტებით შეასრულა მთელი ეს ოპერაცია, ანუ საქართველოს ტერიტორია ჩააბარა და როცა უკვე დამთავრებული იყო ყველაფერი – რუსები შემოსულები იყვნენ და პოზიციები ჰქონდათ დაკავებული, შემდეგ გასცა გასროლის ბრძანება და გააფორმა ომის მდგომარეობა. ეს სუფთა ღალატი იყო. ჩვენს მთავარსარდალს წარმოადგენდა რუსების მხარეზე, ჩვენი პრეზიდენტი იყო რუსების მხარეზე. ამერიკის ინტერესებს ის ვერასოდეს ვერაფერში ვერ შეეწინააღმდეგება.

***– დღეს სააკაშვილი ისევ პრეზიდენტად ითვლება და ქვეყნისთვის გარკვეულ საშიშროებებს ქმნის.***

– დიახ, სააკაშვილი გარკვეულ საშიშროებას ქმნის, მაგრამ რეალური საშიშროების განხორციელებამდე არ მიუშვებენ. თუმცა, ის უნდათ საპირწონედ. ძალიან რთული განლაგებაა. ამაზე ცოტა უხერხულიც კი არის ლაპარაკი, მაგრამ ძალიან ზრდილობიან ფორმებში ვთქვათ – რუსეთი არის ნაკლებკონკურენტუნარიანი, ნაკლებპერსპექტიული, ნაკლები პოტენციალის მქონე, ყოველმხრივ ნაკლებად განვითარებული და ნაკლებად ძლიერი, ვიდრე დასავლეთი. ამიტომ ყველა კონკრეტული კაცი, რომელიც თავის სიკეთეს ეძებს და პოლიტიკაში რაღაც კარიერისთვის ემზადება, პოტენციურად გადაბარგებადია დასავლეთის მხარეზე. აქტიური



პოლიტიკოსი იქნება თუ პასიური, იტრიალებს იტრიალებს და ბოლოს და ბოლოს დადგება ისეთ პოზიციაზე, რომელიც დასავლეთისთვის იქნება მისაღები. სხვა პოზიციაზე ვერ გაჩერდება. ამიტომ როდესაც კაცს წარსულში რაღაც კავშირები ჰქონდა რუსეთთან და მოდის ქვეყნის სათავეში, დასავლეთი ყოველთვის იფიქრებს, როგორ შეაკავოს. კი ბატონო, სიტყვით ჩვენკენაა, სიტყვით დემოკრატიისკენაა, კარგ დაპირებებს იძლევა, თითქოს პერსპექტივა მეტყველებს იმაზე, რომ ის კაცი ჩვენ არ გვიღალატებს, მაგრამ ნდობას მაინც ვერ უცხადებს. კი, გეგმავს მასთან თანამშრომლობას, მაგრამ მთლად ნდობას მაინც ვერ უცხადებს. ამიტომ ეს ავთვისებიანი ლაწირაკები სჭირდებათ ხელისუფლების დასაბალანსებლად. ენდობიან, მაგრამ ბრმად ვერ ენდობიან. ამიტომ ყოველი შემთხვევისთვის ეს მათი ვითომ ოპოზიციური პარტია, ნაძირალიტეტი, შეინარჩუნეს იმ რაოდენობით, რომ უმრავლესობამ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ შექმნას.

***– როდესაც დასავლეთი მოუწოდებს ივანიშვილს ითანამშრომლონ, თანაც ისეთ პირობებში, როცა სააკაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სააკაშვილს ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, ფაქტობრივად?***

– ეს მეორე საკითხია, რომელიც მე და თქვენ მაინცდამაინც არ უნდა გვაინტერესებდეს. ჯანდაბას მაგათი თავი.

***– საზოგადოებას აინტერესებს. ხალხს უნდა, სააკაშვილმა პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე.***

– სააკაშვილის მიმართ დასავლელი დიპლომატები ისე იქცევიან გარეგნულად, თითქოს მისი გასუქება უნდათ. როცა იჭერენ სააკაშვილის მომხრე დამნაშავეებს, ამაზე უკმაყოფილებას აჩვენებენ. ასე რომ, დიდი ალბათობაა, დაგეგმილია სააკაშვილის დაუსჯელობა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე პერსპექტივაა საქართველოსთვის იმიტომ, რომ სააკაშვილის ხროვის დაუსჯელობა შემდგომი ბოროტმოქმედებებისთვის მწვანე შუქის ანთებას ნიშნავს. ამათი დაუსჯელობის პირობებში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება. საშინელი პერსპექტივაა ჩვენთვის. ამიტომ ქართველი ერის ამოცანაა ამათი დასჯა, იგულისხმება, მათი დაკავებით და გასამართლებით. ეს უნდა მოხდეს.

***– შევარდნაძის დაუსჯელობამ მოგვცა ნაციონალური მოძრაობის პარპაში საქართველოში. თვითონ ნაციონალები კი თავს მამა აბრამის ბატკნებად წარმოგვიდგენენ.***

– დიახ. როგორც ჩანს, ნაციონალებს უფრო დიდ დახმარებას ჰპირდებიან, ვიდრე სინამდვილეში უპირებენ. როგორც ჩანს, მათ ჰპირდებიან, რომ ნაციონალური მოძრაობა იქნება ორიდან ერთი პარტია, რომელიც იქნება და იქნება, როგორც, მაგალითად, ამერიკაში არიან და არიან რესპუბლიკელები და დემოკრატები. ისინი პოლიტიკაში დარჩენას აპირებენ. ამიტომ უფრო თავხედურად იქცევიან, ვიდრე მათ მდგომარეობას შეესაბამება. თუმცა, სერიოზულ პოლიტიკაში ნაციონალებს აღარავინ გარევს, მაგრამ თავხედურად იქცევიან.

***– ხშირად ამბობენ, რომ 6 თვეში სააკაშვილს შეუძლია რაღაც მოუწყოს ახალ ხელისუფლებას.***

– გაწონასწორების პოლიტიკას გააგრძელებენ 6 თვით.

***– რაიმე შეუძლია სააკაშვილს გააკეთოს ქვეყანაში ვითარების ასარევად?***

– შეუძლია, შეუძლია. რეალურად, რუსეთის აგენტურას საქართველოში შეუძლია გაითამაშოს, დადგას სამოქალაქო ომი.

***– მერედა, სააკაშვილი არ გადაჰყვება იმ თავისივე დადგმულ „სამოქალაქო ომს“?***

– სააკაშვილს არჩევანი არ აქვს. ის არის რუსეთის აგენტი.

***– სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა რეალურად 5 იანვარს გასდის. თუმცა, რაღაც იეშმაკეს და კონსტიტუციაში სხვა წანაწერიც არის, რომ პრეზიდენტის არჩევნები ნოემბერში უნდა გაიმართოს. ხომ შეიძლება სააკაშვილი უფრო რბილად ჩამოაცილონ ხელისუფლებას, ვიდრე ეს მათ წარმოუდგენიათ?***

– საქმე ისაა, სააკაშვილის ფუნქციები რჩება. სააკაშვილის ფუნქციაა, ყოველი შემთხვევისთვის, ვაი თუ რამე მოხდაო, გააწონასწოროს ახალი ხელისუფლების პრორუსული ნაბიჯები. ამიტომ ბოლომდე სანამ არ შეასრულებს ფუნქციას, მანამდე იქნება და იქნება.

***– როდესაც სააკაშვილზე და ხელისუფლების გაწონასწორებაზე საუბრობთ, გულისხმობთ იმას, რომ სადღაც დასავლეთში მას უჭერენ მხარს და აწონასწორებინებენ ხელისუფლებას? ხომ შეიძლება ქართველმა ერმა არ მოინდომოს სააკაშვილის პრეზიდენტად ყოფნა 5 წელზე მეტ ხანს უკანონოდ და დასვა მისი გადადგომის საკითხი? არ შეიძლება დასავლეთის ნებისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს ქართველმა ხალხმა?***

– სააკაშვილი რომ რუსეთის აგენტია, ეს დასავლელებმა შესანიშნავად იციან, მაგრამ ის იმდენი კომპრომატის მქონე აგენტია, დასავლეთის ნებას არასოდეს გადაუხვევს.

***– ვის რაში აინტერესებს სააკაშვილის ნება? რაიმეს წარმოადგენს ახლა ეს კაცი, საერთოდ?***

– სანამ ეს კაცი პრეზიდენტია, მას რეალური ბერკეტები აქვს.

***– ბერკეტები შეიძლება აქვს, მაგრამ, ფაქტობრივად, ქართველმა ერმა მას და მის პარტიას უარი უთხრა, ფიქტიური პრეზიდენტია.***

– მას შეუძლია ვეტო დაადოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

***– კი, შეუძლია, მაგრამ შემდეგ რა მოჰყვება ამას? ამით იმას მოიმკის, რომ ხალხი გამოვა და იტყვის, სააკაშვილი აღარ გვინდა, ის არჩევნებში დამარცხდა, მისი პრეზიდენტობის ვადა, 5 წელიც გავიდა და წავიდესო.***

– ქართველი ერის ერთსულოვან ნებას ძალიან ცოტა შეუძლია იმიტომ, რომ საქართველო დღეს თავის საზღვრებში მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის მყარი ნების ძალითაა.

***– იმდენად ღირებულია დღეს სააკაშვილი დასავლეთისთვის, რომ ჩვენ შორის ურთიერთობები დაირღვევა?***

– სააკაშვილი, როგორც უმრავლესობის დამბალანსებელი, დასავლეთს სჭირდება. ყოველი შემთხვევისთვის, მაგრამ სჭირდება, როგორც ურთიერთობის დამბალანსებელი.

***– დასავლეთიც ცდება ხოლმე. ხომ გვაქვს ჩვენ ამის მაგალითები. როგორც ჩანს, ახლაც ასეა.***

– თავის დროზე დასავლეთმა ისე ააყვავა საბჭოთა კავშირი, რომ ამას ბევრი შეცდომად უთვლიდა. გავიდა წლები და გაირკვა, რომ არაფერი შეცდომა არ იყო. ამ პოლიტიკამ დაუპირისპირა ერთმანეთს ჩინეთი და რუსეთი. მეცნიერების საუკუნეა და დიდი ცდომილებით დიდი პოლიტიკის გათვლა არ ხდება.

# გაცოცხებული ვარდები

## ყვავილოვანი გადატრიალებიდან 9 წელი გავიდა

შორენა მარსაგიშვილი

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები სხვანაირი შედეგით რომ დასრულებულიყო, დღეს ნაციონალები დიდ ნადიმს გადაიხდიდნენ და არამც და არამც იმიტომ, რომ დღეს გიორგობაა. 2003 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას ლამის დაავიწყეს, რომ 23 ნოემბერი ქრისტიანული დღესასწაული იყო. ამ დღეს, როგორც ვარდების რევოლუციის დღესასწაულს, ისე აღნიშნავდნენ. დღეს კი ამის ხალისი ნამდვილად არა აქვთ. არადა, როგორ ემზადებოდნენ რევოლუციის 10 წლისთავისათვის.

### შევარდნა თუ შევარდნაძის სპექტაკლი

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ის მართლაც ისტორიული არჩევნები იყო, თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტში რამდენიმე ძალა გავიდა. ნაციონალური მოძრაობაც მოხვდა იმ პარლამენტში. თავიდან ისინი პირველ ადგილზე იყვნენ, ხმების დათვლის შემდეგ კი მეორე ადგილზე გადაანაცვლეს.

ამან ნაცმოძი და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გაალიზიანა. თბილისში საპროტესტო აქციები დაიწყო. ამ აქციებს ბევრი ხალხი შეუერთდა. ბევრს საერთოდ არ მოსწონდა ნაციონალები, მაგრამ შევარდნაძე ყელში ჰყავდათ ამოსული. მოსახლეობამ რატომღაც დაივიწყა, რომ ის უბედურება, რაც მაშინ საქართველოს სჭირდა, ნაციონალების ლიდერის დამსახურებაც იყო.

სააკაშვილი და ჟვანია წლების განმავლობაში შევარდნაძის გარემოცვას წარმოადგენდნენ, ბევრ რამეს სწორედ ისინი წყვეტდნენ და, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ემზადებოდნენ, რომ ბელადი ვადამდე ადრე ჩამოეცილებინათ პოლიტიკიდან.

ამაში მათ დასავლეთის გარკვეული წრეებიც ხელს უწყობდნენ. აქტიურად უჭერდნენ მათ მხარს რელიგიური და სექსუალური უმცირესობებიც. ყველამ კარგად ვიცით, რომ აქციების მიმდინარეობის პერიოდში აქციის მონაწილეების კვებაზე ბაპტისტური ეკლესია ზრუნავდა. ისინი ამარაგებდნენ პარლამენტის წინ მდგომებს ცხელი კაოთი და „ბულკებით“. ზოგიერთი ბოროტი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ იმ კაკაოში ტრანკვილიზატორები იყო გარეული.

შევარდნაძე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ნაციონალების პროტესტის შესაჩერებლად მან აჭარის ლომის გამოყენება სცადა. ასლან აბაშიძეს დახმარებაზე უარი არ უთქვამს. ყვავილოვან რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისში აჭარიდან ჩამოვიდა რამდენიმე ათასი კაცი. ისინი პარლამენტის შენობის წინ განლაგდნენ.



ახალი პარლამენტის პირველი სხდომა 22 ნოემბერს დაიგეგმა. სხდომის წინა დღეს სააკაშვილმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიყვანა ხალხი, მიშისტები თავისუფლების მოედანზე დაბანაკდნენ. სააკაშვილმა მათ ღამის გასათევად თბილისის საკრებულოს შენობაც დაუთმო.

ყველა შეგუებული იყო, რომ 22 ნოემბერს რაღაც მოხდებოდა. დეპუტატებმა პარლამენტში მისვლა დილიდან დაიწყეს. შენობა ალყაში იყო მოქცეული. მას სპეცდანიშნულების რაზმებით იცავდნენ. შენობის წინ კი „აღორძინების“ აქცია მიმდინარეობდა.

ნაციონალები და სააკაშვილი თავისუფლების მოედანზე ირაზმებოდნენ. პარლამენტის სხდომის პირველ დღეს, როგორც წესი, სპიკერს ირჩევენ. მაშინ საკანონმდებლო ორგანოში რამდენიმე პოლიტიკური ძალა გავიდა. სპიკერის არჩევა ძალიან გართულდა. შევარდნაძის ფლანგს სასურველი კანდიდატურის ასარჩევად „აღორძინების“ ხმები სჭირდებოდა.

ასლან აბაშიძის დაყოლიება მარტივი არ გამოდგა. მასთან მოსალაპარაკებლად ირინა სარიშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი წავიდნენ. მოლაპარაკებები გაჭიანურდა. პარლამენტის სხდომის დაწყების დრომაც რამდენჯერმე გადაიწია. ამასობაში მიშა და მისი რაზმი სახელმწიფო კანცელარიას მიუახლოვდა. ძალიან მალე მათ სახელმწიფო კანცელარია აიღეს.

ამ ამბავს შევარდნაძე მშვიდად შეხვდა, თითქოს ამ ყველაფერს ელოდაო. ის მთავრობასთან ერთად პარლამენტის შენობაში იყო. წესით და რიგით, სხდომა სასწრაფოდ უნდა დაეწყოთ, მაგრამ შევარდნაძე არ ჩქარობდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო. მას სიტყვა საკმაოდ გაუგრძელდა. სიტყვის დასრულება არ დასცალდა. სააკაშვილმა და მისმა ხალხმა შენობა შტურმით აიღეს.

ამბობენ, რომ ეს ყველაფერი შევარდნაძის მითითებით მოხდა. არის მოსაზრება, რომ ბაბუმ სააკაშვილს პარლამენტში შეჭრის უფლება თავად მისცა. ეს კი იმიტომ გააკეთა, რომ აბაშიძის დათანხმება ვერ მოხერხდა.

არც სააკაშვილი და არც შევარდნაძე ამ გარიგებას არ ადასტურებენ. არადა, იქ აშკარად რაღაც მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ სხდომის დაწყება ასე არ გაჭიანურდებოდა.

სხდომათა დარბაზში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ქუჩიდან შემოვარდნილმა ხალხმა იქაურობა დალეწა. პირველი, რაც გააკეთეს, სახელმწიფო დროშა ჩამოხიეს და თავიანთი პარტიული დროშა აღმართეს. რამდენიმე კვირაში სწორედ ეს დროშა გამოაცხადეს სახელმწიფო დროშად.

თვალშისაცემი იყო ვარდიანი სააკაშვილიც. ის ვარდით ხელში შემოვარდა სხდომათა დარბაზში. სწორედ ამიტომ დაარქვეს ამ გადატრიალებას ვარდების რევოლუცია.

სხდომათა დარბაზი ყველა დეპუტატმა დატოვა. იქ მხოლოდ ჯემალ გოგიტიძე, ირაკლი ბათიაშვილი და გიორგი კანდელაკი დარჩნენ. მერე ისინიც წავიდნენ და სხდომათა დარბაზში ნაციონალური ზეიმი დაიწყო.

შეკრებილებს ნინო ბურჯანაძემ მიმართა და რადგან ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა ვერ მოხერხდა, ისევ ის დარჩა სპიკერად. მან ქართველ ხალხს გამარჯვება მიულოცა, ამასთან, ითხოვა, რომ ხალხს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია არ დაეტოვებინა.

23 ნოემბერს ნაციონალები და ჟვანია სააკაშვილის გუნდის წევრები პარლამენტის შენობაში შეიკრიბნენ. შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში იყო გამაგრებული.

პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა ჟურნალისტებსაც მოგვეცა. იქაურობა მთვრალი ხალხითა და არყის ბოთლებით იყო სავსე. ოთახები დარბეული იყო. ბევრი რაღაცა მოიპარეს. თუმცა ამაზე ვარდოსნებს არაფერი უთქვამთ. მთელი დღის განმავლობაში მიდიოდა მოლაპარაკებები. პირველი არხი შევარდნაძის მხარეს იყო. სააკაშვილი და მისი გარემოცვა ღიად მოითხოვდა ტელევიზიის შტურმით აღებას.

კონსულტაციები შევარდნაძესთანაც მიდიოდა. მისგან ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ითხოვდნენ. მოლაპარაკებების გასამართად თბილისში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი ჩამოვიდა. ზუსტად რაზე მოილაპარაკეს, არავინ იცის. ფაქტი ისაა, რომ შევარდნაძე გადადგა. სააკაშვილი და მისი „სასტავი“ დიდხანს უკრავდნენ ტაშს იგორ ივანოვს.

### რევოლუციის შეჭმული შვილები

ყვავილოვანი გადატრიალების შემდეგ საქართველოში რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. საპრეზიდენტო კანდიდატად მიხეილ სააკაშვილი დასახელდა. არადა, დასავლეთს ამ პოსტზე ნინო ბურჯანაძის ხილვა სურდა.

როგორ განვითარდა რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მოვლენები, ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. რევოლუციურმა ვარდმა მალე გამოიღო ეკლები. ეს ეკლები ბევრმა ვარდოსანმა იწვნია საკუთარ თავზე. ყველაზე მეტად კი ეს ეკლები ხალხმა იწვნია საკუთარ თავზე.

რევოლუციებს ბევრი ცუდი რამ ახასიათებს. ის საკუთარ შვილებს ჭამს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ყვავილოვანი გადატრიალება ყოფილა. რევოლუციური ტრიუმვირატიდან ნაციონალებს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი შემორჩა. ზურაბ ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. 2008 წელს კი ნინო ბურჯანაძემ დატოვა ნაცმოძი.

### ვარდებიდან ცოცხებამდე

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ იმ მოვლენების გახსენება შორს წაგვიყვანდა. ამ წლებში ქვეყანაში ბევრი ცუდი რამე მოხდა, მაგრამ რაღაცებიც გაკეთდა და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. სამწუხაროდ, ცუდი უფრო ბევრი იყო.

მარტო 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევა რად ღირს, ან აგვისტოს ომი რა იყო საერთოდ. არაფერს ვამბობთ ქუჩაში დახვრეტილ ახალგაზრდებსა და საყოველთაო მოსმენებზე. „შპიონები“ და ამბოხებები“ ყელში იყო ამოსული.

ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით თბილისში ბევრჯერ გაიმართა მრავალათასიანი აქციები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. სააკაშვილი ყოველთვის ჯობნიდა ოპოზიციას.

ამ არჩევნებზეც ბევრი რამ იყო დაგეგმილი. არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე ციხის სკანდალი აგორდა. საზოგადოება შოკში ჩააგდო ციხის კადრებმა. პატიმრების ცოცხით გაუპატიურებამ ამ ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალა. ცოცხადქცეულ ვარდს საზოგადოებამ „ქართული ოცნება“ ამჯობინა.

ახლა მეოცნებეები ისეთივე პოპულარობით სარგებლობენ, როგორც 2003-2004 წლებში – ნაციონალები. იმედია, მათი ოცნებაც რაიმე კოშმარად არ გადაიქცევა.

# გენერალი გია ვაშაკიძე გია ბარამიძეს წამებაში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტის ვიცესპიკერი გია ბარამიძე აშკარად ცუდ მდგომარეობაშია. მისი გვარი რამდენიმე გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. აფრასიძეებისა და ჟვანიას საქმეს გენერალ გია ვაშაკიძის საქმეც დაემატა. გენერალი ვაშაკიძე ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო. ის უკვე მეცხრე წელია, რაც ციხეში ზის და სასჯელს იმ დანაშაულისთვის იხდის, რაც არ ჩაუდენია.**



2003 წლის დეკემბერში „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთი მეწილე გაიტაცეს. იმ პერიოდში ქვეყნის შს მინისტრი გია ბარამიძე იყო. იანვრის დასაწყისში გია ბარამიძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა ვალერი ხაბურძანიასთან ერთად. ამ უკანასკნელს მაშინ უშიშროების მინისტრის პოსტი ეკავა. ბარამიძემ გვამცნო, რომ მაღლაკელიძის საქმე გახსნილი იყო. მან გამტაცებლების ვინაობაც დაასახელა და ამაყად გვამცნო, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი თითქოს გენერალი გია ვაშაკიძე იყო.

ამ საქმეში გია ვაშაკიძის მონაწილეობა, ფაქტობრივად, არავინ დაიჯერა. სასამართლოზე თამაზ მაღლაკელიძე ამბობდა, რომ გია ვაშაკიძე მისი გამტაცებელი არ იყო, მაგრამ ამ გარემოებას არავინ მიაქცია ყურადღება. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ვაშაკიძემ თქვა, რომ მისი ერთადერთი დანაშაული სამტრედიელობა და იგორ გიორგაძესთან ნაცნობობა იყო.

ბოლო წლებში ქვეყანაში იმდენი რამე მოხდა, გია ვაშაკიძის ამბავი ყველას მიავიწყდა. არადა, ეს ადამიანი უკვე 9 წელია ციხეში ზის. იმედია, მის საქმეზე ახალი გამოძიება დაიწყება. გუშინ მისმა ადვოკატმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. გენერალი ვაშაკიძე ბარამიძეს წამებაში ადანაშაულებს.

ვაშაკიძის ადვოკატ გია დარჩიას თქმით, გია ბარამიძემ განსაკუთრებული სისასტიკით დაგეგმა გენერალ ვაშაკიძისა და მისი მეგობრების ელდარ გოგბერაშვილისა და ბენიამინ სანებლიძის დაკავება, გატაცება და წამება.

– დაკავებას წინ უძღოდა პოლიტიკური მოტივები, თითქოს გია ვაშაკიძე იგორ გიორგაძესთან ერთად „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლას აპირებდა. 2004 წლის 9 იანვარს, ღამის საათებში, გიორგი ვაშაკიძე მის მეგობართან ერთად დააკავეს ვაჟა ფშაველას გამზირზე, ჩაუდეს იარაღი. თანამშრომლებმა დაუწყეს სასტიკი ცემა დაკავებულებს, შემდგომ კი, ნაცვლად დროებითი მოთავსების იზოლატორისა, გადაიყვანეს ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე, სადაც მათი წამება და არაადამიანური მოპყრობა გაგრძელდა. აღნიშნულს ესწრებოდა გიორგი ბარამიძე და თვითონაც იღებდა მონაწილეობას წამებაში. ის იყო არაფხიზელ მდგომარეობაში, – აღნიშნა დარჩიამ.

ადვოკატის თქმით, არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, თუ როგორი სიხარულით აცნობა მიხეილ სააკაშვილს გია ბარამიძემ, რომ მან გენერალი ვაშაკიძე დააკავა.

– პრეზიდენტმა მეორე დღესვე გააკეთა სატელევიზიო განცხადება, რომ დაკავებულ იქნა იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებდა, – აცხადებს ადვოკატი.

გია დარჩიას თქმით, სასაფლაოს შემდეგ წამება თბილისის მთავარი სამმართველოს იზოლატორში გაგრძელდა, სადაც ასევე წამებაში მონაწილეობდა ბარამიძე. ადვოკატმა გუშინ წამების მეთოდებზეც ისაუბრა.

– წამების მეთოდი იყო მრავალფეროვანი, როგორიცაა დენზე მიერთება, დახრჩობის იმიტაცია, ძელზე ჩამოკიდება და ა.შ. მოთხოვნა იყო, რომ მომხდარიყო აღიარება არარსებული დანაშაულისა. იყო შეთავაზება, რომ აღიარების შემთხვევაში თვითონ უზრუნველყოფდნენ იარაღისა და სხვა მტკიცებულებების შექმნას ჩვენების დამაჯერებლობის გასამყარებლად. დაკავებულს პირველად იგორ გიორგაძესთან კავშირის აღიარებას, ხოლო მოგვიანებით კახი კალაძის ძმის გატაცებაში მონაწილეობას სთხოვდნენ. საბოლოოდ კი გენერალი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ დამფუძნებლის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების ბრალდებით გაასამართლეს, – აღნიშნავს ადვოკატი დარჩია.

დროებით იზოლატორში დაკავებულები ამერიკის კონსულმა მოინახულა, რაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაშიც მოხვდა. ვაშაკიძის საქმე სტრასბურგის ევროპულ სასამართლოში განსახილველად არის გაგზავნილი.

გია დარჩიას თქმით, გენერალ ვაშაკიძის ოჯახი უახლოეს დღეებში მთავარ პროკურატურას ბარამიძის მიმართ სისხლის სამართლის აღძვრის მოთხოვნით მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ გია ვაშაკიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. საინტერესოა, რატომ არ ამოიღეს ხმა მაშინ ნაციონალებმა, რატომ არ გააპროტესტეს გენერალ ვაშაკიძის დაკავება, როგორც ეს გიგი კალანდაძის შემთხვევაში გააკეთეს. მაშინ ამ დაკავებით ყველანი ბედნიერები იყვნენ.

ცნობისათვის, სასჯელის სრულ მოხდამდე ვაშაკიძეს Yთვე-ნახევარი დარჩა. საინტერესოა, ვინ აგებს პასუხს მის 9-წლიან პატიმრობაზე. მანამდე კი საქმის ხელახალი გამოძიება იქნება ჩასატარებელი.

# ინციდენტი პარლამენტში

## დეპუტატებს თავზე გამანათებელი მოწყობილობა დაეცათ

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ახალი პარლამენტი დეპუტატებისთვის სახიფათო გახდა. დეპუტატებზე არანაკლები საფრთხე ემუქრება იქ დასაქმებულ ადამიანებს. არადა ამ შენობის აშენება ქვეყანას 360 მილიონი დაუჯდა. მის დასამთავრებლად კიდევ რამდენიმე ათეული მილიონია საჭირო.

ამის მიუხედავად შენობა ყოვლად გამოუსადეგარი და საშიშია. ყოველი წვიმის შემდეგ პარლამენტში წყალი ჩადის და შუშები იბზარება. დეპუტატები რამდენჯერმე ოთახებში ჩაიკეტნენ.

ამ ყველაფერს როგორც იქნა მიეჩვივნენ. მაგრამ ახლა ახალი ვარამი დაატყდათ თავს. დეპუტატებს თავზე გამანათებელი მოწყობილობები აცვივათ. ეს ინციდენტი გუშინ მოხდა.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის სამუშაო კაბინეტში გუშინ ჭერიდან გამანათებელი მოწყობილობა, კომიტეტის სხდომის მიმდინარეობისას ჩამოვარდა. შემთხვევის შედეგად დეპუტატები არ დაშავებულან. თუმცა გვარიანად კი დაფეთდნენ.

ამ ვარდნის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა საკომიტეტო ოთახების შემოწმება მოითხოვა.

– უნდა შემოწმდეს,კომიტეტების ოთახებში, რამდენად არის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი. ამ შენობაზე 360 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამაზე დაიხარჯა ეს თანხა?! სამთავრობო დაცვისგან და შენობის კომენდანტისგან მოვითხოვ, უსაფრთხოების მიზნით შემოწმდეს ყველა კომიტეტის ოთახი. თუ დადგინდება, რომ იგივე პრობლემა სხვაგანაც არის, სასწრაფოდ გამოსასწორებელიაა, თუ სხვაგან არ არის მსგავსი პრობლემა და მარტო ჩვენს კომიტეტში მოხდა, ამაზე გამოძიება უნდა ჩატარდეს, – აცხადებს დეპუტატი დავითაშვილი.

რა და როდის დაეცემათ დეპუტატებს მომავალში თავზე ძნელი სათქმელია. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დეპუტატებს კიდევ რა უჭირთ, იშვიათად ჩადიან აქ. აი, პარლამენტის მომსახურე პერსონალი და აპარატში დასაქმებულები შავ დღეში არიან.

საპარლამენტო უმრავლესობა პირობას დებს, რომ მალე პარლამენტი ისევ თბილისში გადმოვა. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობის შეკეთება უკვე დაიწყო.

ჩვენი მხრიდან დეპუტატებს ერთ რჩევას მივცემთ: სანამ ქუთაისში ხართ „კასკებით“ იარეთ, ემანდ თავში არაფერი დაგეცესთ.

# ვის უნდოდა გიორგობიანის მოშორება

შორენა კოწოწაშვილი

**საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში პოლიტიკურ დევნილებს იმედი გაუჩინა, რომ საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებენ და ობიექტური განაჩენები დადგება იმ საქმეებზე, რომლებიც ადეიშვილ–კუბლაშვილის ინტერესებით სააკაშვილის საამებლად და რეჟიმის გასამტკიცებლად იკერებოდა. პოლიტიკურ დევნილობაში მყოფთა ნაწილი საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს, ირაკლი ოქრუაშვილმა ნავსი გატეხა და, როგორც ჩანს, რომ დაიქადნა, სააკაშვილს თვალებში ჩავხედავო, ამ დაპირების სისრულეში მოყვანისთვის ერთი ნაბიჯით წინ წაიწია.**



საქართველოში დაბრუნებას არ ჩქარობს ბიძინა გიორგობიანი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა და რომელიც, როგორც ამბობენ, მერაბიშვილის ბიზნესინტერესებს შეეწინააღმდეგა. საუბარია ცხინვალის ტყეებიდან ხე-ტყის მასალის გატანაზე.

გიორგობიანის საქმეს კონტროლის პალატის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ ნაჭყებიას სამსახურებრივი კარიერაც შეეწირა და უკვე მე-8 წელია, განსასჯელია. როგორც ნუგზარ ნაჭყებია აცხადებს, მას ავალებდნენ, გიორგობიანის გასაფუჭებლად აქტი დაეწერა.

კონკრეტულად რაში ედავებოდა ბიძინა გიორგობიანს სააკაშვილის ხელისუფლება და ვისი დავალებით მოქმედებდა დათა ახალაია გიორგობიანისა და ნაჭყებიას წინააღმდეგ? და კიდევ, როგორ მოხდა, რომ სასამართლო პროცესი სამი წლის მანძილზე არ ჩაინიშნა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს კონტროლის პალატის ყოფილ მაღალჩინოსან **ნუგზარ ნაჭყებიასთან**.

***– ბატონო ნუგზარ, მოდით, ვისაუბროთ, როდის და რა მიზნით გახდით სააკაშვილის ხელისუფლების სამიზნე და კონკრეტულად რა მიზნით ითხოვდნენ თქვენგან სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბიძინა გიორგობიანის დადანაშაულებას სახელმწიფო თანხების მითვისებაში?***

– საქართველოში 9 წლის წინ მოვიდა სააკაშვილის კრიმინალური ბანდა ცალ-ცალი კალოშით. ამ ბანდის მთავარი მიზანი იყო ფულის გაკეთება ნებისმიერ ხერხით. პირველმა ასეთი ფულის გაკეთების ხერხს მიმართა კახა ბენდუქიძემ. მის მიერ შემუშავდა პროექტი საქართველოში ტყის უპრაგონოდ რეალიზაციის შესახებ, რასაც სატყეო დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი ბიძინა გიორგობიანი შეეწინააღმდეგა. მან მოამზადა პროექტი ხე-ტყის განვითარების შესახებ, რომელიც შესულია იმდროინდელ პარლამენტში. ამან ძალიან გააღიზიანა სააკაშვილის კრიმინალური ბანდა, მაგრამ მაინც ითმენდა, ხოლო 2004 წლის ზაფხულში, როდესაც ბიძინა გიორგობიანმა თავისი ერთპიროვნული განკარგულებით აკრძალა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან უკანონოდ ხე-ტყით ვაჭრობა, ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გიორგობიანი როგორმე თანამდებობიდან ჩამოეშორებინათ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ. ამ მიზნისთვის მოინდომეს ჩემი გამოყენება, როგორც იმ დროისათვის კონტროლის პალატის დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა. 2004 წლის შემოდგომაზე ჩემთან ჯერ უშიშროებამ შემოაგდო ტელეფონოგრამა, რომ სატყეო დეპარტამენტში დიდი დარღვევებია და მთხოვდნენ ამის შესწავლას. ამ საკითხის შესწავლას მიმოწერით დაახლოებით სამი თვე მოვანდომე და, ჩემდა გასაკვირად, როცა გარკვეული დოკუმენტაცია დამჭირდა სატყეო დეპარტამენტიდან და გიორგობიანს მივწერე, იქიდან პასუხი ოპერატიულად მივიღე. შემდეგ ისევ დამჭირდა სატყეო დეპარტამენტიდან წერილობით ინფორმაცია და ისევ უპრობლემოდ მივიღე. დავრწმუნდი, რომ არავითარი დარღვევები არ ჰქონდა ბიძინა გიორგობიანს, დარღვევები კი იკვეთებოდა ადგილზე – ახალქალაქში, რის შესახებაც კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას მოვახსენე, კარგი იქნებოდა, 2005 წლის ზაფხულის პერიოდში შეგვემოწმებინა ახალქალაქში გამოვლენილი დარღვევები. იყო 10 ათას კუბმეტრამდე ხე-ტყე შეტანილი. ხელმძღვანელობამ ეს პოზიცია გაიზიარა და დაიგეგმა ახალქალაქისა და მიმდებარე რეგიონის შემოწმება. მაგრამ უშიშროება ჩქარობდა და სადღაც 2004 წლის ბოლოსთვის კონტროლის პალატაში მოიტანეს დათა ახალაიას წერილი, რითაც ახალაია ითხოვდა ბიძინა გიორგობიანის საქმიანობის შემოწმებას. მანამდე ჩემთან შემოდიოდნენ ოდეერები და მთხოვდნენ გიორგობიანის დასაჭერი საქმის აქტის დაჭერაში დახმარებას, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდი, რადგან გიორგობიანი მართალი იყო და კანონდარღვევა არ ჩაუდენია. არ მივიღე დათა ახალაიას წერილი იმიტომ, რომ ის უფლებამოსილი არ იყო, მსგავსი წერილი მოეწერა. მერე ეს ოდეერები წავიდნენ და მოიტანეს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მოადგილის ამირან მესხელის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომ შემოწმებულიყო უშუალოდ ბიძინა გიორგობიანის მოღვაწეობის პერიოდი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტში. ესეც არ იყო კანონიერი, რადგან კონტროლის პალატის არაგეგმიური შემოწმების დავალების უფლება ჰქონდა მარტო პარლამენტსა და პრეზიდენტს.

***– თქვენ ამბობთ, რომ დათა ახალაია და ვანო მერაბიშვილის მოადგილე ითხოვდნენ თქვენგან გიორგობიანის საწინააღმდეგო აქტის დაწერას. იკვეთებოდა მაშინვე, რომ შს მინისტრი იყო დაინტერესებული, ანუ კონკრეტული პირები იყვნენ დაინტერესებული გიორგობიანის მოშორებით – დაპატიმრებით?***

– დიახ. 8 წელი გავიდა და ამის შესახებ ყველაფერი დეტალურად მაქვს შესწავლილი. როგორც თავიდან ვთქვი, სააკაშვილის კრიმინალური ბანდის მთავარი მიზანი იყო ფულის გაკეთება ნებისმიერი ხერხით. მათ კი ფულის გაკეთებაში ხელს უშლიდა პატიოსანი კაცი, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის უფროსი და აქედან გამომდინარე მოინდომეს ბიძინა გიორგობიანის მოშორება. იმიტომ მოინდომეს მისი მოშორება, რომ მან ხმა ამოიღო და ბენდუქიძესა და სააკაშვილის ხელისუფლებას შეეწინააღმდეგა. ამიტომ მოინდომეს გიორგობიანის გაფუჭება ჩემი ხელით. ჩემთან ოდეერები მოდიოდნენ თავიანთი სახელით კი არა, არამედ დათა ახალაიას და ვანო მერაბიშვილის სახელით. ამის დასტურდება იმ ჩანაწერით, რომელიც მე ფარულად გავაკეთე. ჩანაწერში ოდეერი ამბობს, მე ვარ ოფიცერი და, რასაც მავალებენ, იმას ვაკეთებო. ამას მავალებდა დათა ახალაია, ხოლო მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქმის კურსში იყო. ამიტომ, ცხადია, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდოდა გიორგობიანის მოშორება. ამის შესახებ შევხვდი პრეზიდენტ სააკაშვილს და ველაპარაკე. მითხრა, ყველაფერს გავარკვევო, მაგრამ არაფერი გაუკეთებია. დავწერე ორი მოხსენებითი ბარათი კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის სახელზე და მივუთითე, რომ აქტი, რომელიც კონტროლის პალატაში შედგა, არასწორი იყო.

***– თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილის მაღალჩინოსნებს უნდოდათ ფულის გაკეთება. როგორ უნდა გაეკეთებინათ, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ვისი ინტერესები იკვეთებოდა? თუ არ ვცდები, ცხინვალის ტერიტორიიდან ხე-ტყის გატანაზეა საუბარი.***

– ჯერ ერთი, ბიძინა გიორგობიანის პროექტი, რომელიც არ გავიდა, მიზნად ისახავდა საქართველოში ტყის ნორმალურ განვითარებას და არა ისე, როგორც კახა ბენდუქიძემ გააკეთა – მდინარეები და ტყის მასივები გასცა 49-წლიანი იჯარით, რითაც საქართველოს ტყეები გაჩანაგებულია. ამის გამოა დღეს სწორედ საქართველოში მეწყრიანობა და ეკოლოგიური პრობლემები. რაც შეეხება იმას, თუ ვინ აკეთებდა ფულს, ეს გამოძიების დასადგენია.

***– თუმცა მახსოვს, ითქვა, რომ ვანო მერაბიშვილის და მისი ფირმების ინტერესები იყო ცხინვალის ტყეებთან დაკავშირებით და ამას შეეწინააღმდეგა ბიძინა გიორგობიანი.***

– იქ იყვნენ იმდროინდელი დეპუტატები – მოვსესიანი და რაისიანი, რომელთა ახლობლის კარ-მიდამოში ვილაცას თურმე შეუმჩნევლად მოუტანია 10 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მაგათი საქმიანობის შედეგი იყო და ამის „შეტენა“ მოინდომეს გიორგობიანისთვის. გიორგობიანი ამ მასალას გერმანიიდან ვერ ჩამოიტანდა. ეს მას აბსოლუტურად არ ეხება. უბრალოდ, მის წინააღმდეგ „შავი პიარისთვის“ გამოიყენეს და უნდოდათ, მისთვის მიეკერებინათ. ის ამ ხე-ტყესთან არაფერ შუაში არ იყო და უნდოდათ, მისი მოშორების საფუძვლად დაედოთ.

***– ბატონო ნუგზარ, თქვენ ამბობთ, რომ თქვენი საქმე 8 წელია ძიებაშია და ამით რეკორდი მოხსენით. შეგიძლიათ თქვათ, რომ საქმე პრეზიდენტმა შეიტყო და პირობა მოგცათ, გაერკვეოდა, პროკურორი ადეიშვილი და შს მინისტრი კი პრეზიდენტის ინტერესებს იგნორირებას უკეთებდნენ?***

– ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, შს სამინისტრო და პროკურატურა იგნორირებას კი არ უკეთებდა, არამედ პირდაპირ ხელმძღვანელობდნენ პრეზიდენტის დავალებით. ეტყობა, სააკაშვილმა მე მომატყუა, გავარკვევ საქმესო, იმათ კი ეუბნებოდა, დაიჭირეთ ბიძინა გიორგობიანიო. ჩემი დაჭერა არ უნდოდათ ეტყობა და მხოლოდ ის უთხრეს, სამსახურიდან მოაშორეთო და მომაშორეს კიდეც. სააკაშვილის შემდეგ მე შევხვდი გამომძიებელს, რომელმაც გააყალბა გიორგობიანის საქმე. ჩავაყენე საქმის კურსში, რომ კონტროლის პალატაში არასწორად იყო აქტი დაწერილი და მხედველობაში ჩვენი აქტი მიეღო. სხვათა შორის, კონტროლის პალატის მიერ დაწერილი არასწორი აქტი გადაამოწმა სასამართლო საექსპერტო ბიუროს ექსპერტმა ხათუნა ტყეშელაშვილმა და დაწერა დადებითი დასკვნა, რის გამოც ეს ახალგაზრდა გოგო სამსახურიდან გაათავისუფლეს. მასზე ზეწოლა განხორციელდა და იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და კანადაში წავიდა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ამ საქმესთან დაკავშირებით სამი ადამიანი დავზარალდით. ბიძინა გიორგობიანს დაუსწრებლად 6 წელი მიუსაჯეს, მე თანამდებობიდან გადამაყენეს, ხოლო ექსპერტი ხათუნა ტყეშელაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ახლა სასამართლო პროცესი იქნება 27 ნოემბერს და ჩემი მოწინააღმდეგეები იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც, ჩემი აზრით, განსასჯელის სკამზე უნდა ისხდნენ. ის ბრალს მდებს, თითქოს მე ამაზე ზემოქმედებას ვახდენდი. მე ზემოქმედებას კი არ ვახდენდი, სიმართლე ვუთხარი, მაგრამ მან ყურად არ იღო; ჩემი ყოფილი თანამშრომელი გიორგი ყავლაშვილი, რომელმაც არასწორი აქტი დაწერა ბიძინა გიორგობიანზე. მაგრამ ესენი არიან შემსრულებლები, აქ დაკვეთა მოდის ზემოდან.

***– ანუ აქტი, რომელიც თქვენ მერაბიშვილ-დათა ახალაიას ინტერესების შესაბამისად არ დაწერეთ, სხვამ დაწერა?***

– რა თქმა უნდა. სიხარულით იპოვეს ჩემი შემცვლელი.

***– რატომ გაიჭიმა ასე თქვენს საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი?***

– არ ვიცი, რატომ გაიჭიმა. გიორგობიანის დასაჭერი აქტის შეკვეთა ოდეერებმა მე მომცეს 2004 წლის სექტემბერში. ხოლო ჩემზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2005 წლის 12 აგვისტოს, როდესაც თანამდებობიდან გადამაყენეს. ამის შემდეგ ვარ განსასჯელი. ამ საქმემ მოიარა საქალაქო სასამართლოს თითქმის ყველა მოსამართლე. 3 წლის წინ ეს საქმე დაეწერა მოსამართლე მაკა გველესიანს. სამი წლის წინ ჩატარდა ორი სასამართლო პროცესი და საქმის განხილვა ახლაღა ჩაინიშნა.

***– ახალი ხელისუფლებისთვის ხომ არ მიგიმართავთ და პროკურატურისთვის ხომ არ გითხოვიათ საქმის ობიექტური გამოძიება?***

– არა. პირველად გაძლევთ ამ ბოლო პერიოდში ინტერვიუს. მე დახმარება არ მჭირდება. მე მჭირდება ობიექტური სასამართლო, რომლის იმედი თან მაქვს და თან არ მაქვს, იმიტომ, რომ ჯერ არა მგონია, სასამართლო თავისუფალი იყოს. პროკურატურა ნელ-ნელა თავისუფლდება პოლიტიკური ზეწოლისაგან ახალი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მისვლის შემდგომ.

***– რას გეუბნებოდნენ, ამ სამი წლის მანძილზე სასამართლოში პროცესს რომ არ ნიშნავდნენ?***

– მე რამდენჯერმე დავრეკე და მითხრეს, დრო არა გვაქვსო. როგორც იქნა, ძალიან რომ შევაწუხე, ჩანიშნეს.

***– გიორგობიანის გარდა, რომელიმე სხვა მაღალჩინოსნის წინააღმდეგაც ხომ არ გთხოვდნენ სასურველი აქტის დაწერას?***

– კი, ჩემი მუშაობის პერიოდში მსგავს ტენდენციას უკვე სისტემატური ხასიათი მიეცა. მას შემდეგ, ანუ 2004 წლიდან წესიერად არც კი მიძინია. მაგრამ ახლა არ მინდა ამ ადამიანებზე ლაპარაკი, რადგან თვითონ გაჩუმებული არიან. თვითონ თუ არ ლაპარაკობენ ამაზე, მე რატომ უნდა ვთქვა. აქედან ერთი მინისტრი იყო, მეორე – ძალიან ცნობილი პიროვნება, რომელიც ციხეშიც იჯდა და მერე გამოუშვეს. მე მის სასამართლო პროცესზეც დავდიოდი. დღეს თვითონ გაყუჩებული არიან, მე რატომ უნდა დავასახელო?!

ნუგზარ ნაჭყებიასთან საუბრის შემდგომ დავუკავშირდით ექსპერტ ხათუნა ტყეშელაშვილის დას – თეა ტყეშელაშვილს, რათა ინფორმაცია მოეწოდებინა, როგორ და რა სახით განხორციელდა მის დაზე ზეწოლა და კონკრეტულად რამ განაპირობა მისი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზიდან გათავისუფლება.

– ჩემი და, ხათუნა ტყეშელაშვილი, მუშაობდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სასაქონლო განყოფილებაში ექსპერტად. მას დაევალა ბიძინა გიორგობიანთან დაკავშირებით ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნის დაწერა. პროკურატურა ექსპერტისგან ითხოვდა კონკრეტული თანხის დაწერას. თუ არ ვცდები, 800 ათასის ჩაწერას ითხოვდა პროკურატურა. თვითონ ხათუნა იმყოფებოდა ახალქალაქში და პირადად ნახა ეს ხე-ტყე. იმ მომენტისთვის სასაქონლო ღირებულება ამ მასალას, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა, თოვლსა და წვიმაში იყო მოხვედრილი. მასალას გარკვეული ღირებულება ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, 1 მილიონი და 800 ათასი ნამდვილად არ იყო ეს თანხა. პროკურატურას რომ მოეთხოვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა, ამ ხე-ტყის შეფასება მომხდარიყო უფრო მაღალ დონეზე, პროკურატურამ ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. მხოლოდ ამბობდა, ასეთი და ასეთი დასკვნა უნდა დაიწეროსო. როგორც ვიცი, მერე უშუალოდ ჩემი დის უფროსებზე იყო ზეწოლა ადეიშვილისგან. მაშინ ლევან გვიდიანი იყო მოადგილე. მერე აბსურდული საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაატარეს, რომელიც ჩემმა დამ გაიარა. თუმცა საბოლოოდ ჩაუწერეს, რომ საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ ჩააბარა, არადა, მაღალი შედეგები მიიღო, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში თეა ტყეშელაშვილმა.

***– პოლიტიკური დევნილი რატომ არის თქვენი და და რის საფუძველზე მისცა მას კანადამ, როგორც პოლიტიკურ დევნილს, თავშესაფარი?***

– ჩემმა დამ სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მისი გათავისუფლება, თუმცა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა.

***– მასზე მუქარები იყო?***

– კი, რა თქმა უნდა, მუშაობის პერიოდში ემუქრებოდნენ, ფულს ჩაგიდებთ, დასანათებელი სითხე რომ არის, კარის სახელურზე დავასხამთ და გაგაფუჭებთო. ეუბნებოდნენ, შენ ხარ ქვეყნის მოღალატე, პრეზიდენტის მოღალატე და ა.შ.

***– ეს მუქარა ვისგან მოდიოდა?***

– ჩემს დაზე უშუალოდ მისი უფროსისგან მოდიოდა, ლევან გვიდიანისგან. როგორც ის ამბობდა, ზეწოლა უშუალოდ ადეიშვილისგან იყო. ჩემი და რომ გაათავისუფლეს, მის ადგილას არასპეციალისტი მოიყვანეს და სასურველი დასკვნაც დაწერეს.

***– თქვენი და არ არის პოლიტიკური დევნილების სიაში.***

– იმიტომ, რომ ჩვენ არასდროს გვიცდია, გაგვეხმაურებინა ეს ფაქტი. მაინც შიშის ფაქტორი იყო. კონკრეტულად ამ საქმის –გიორგობიანის საქმის გამოა ხათუნა ტყეშელაშვილი კანადაში პოლიტიკურ დევნილად მიჩნეული. ის ადვოკატების მეშვეობით აპირებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიღწევას, თუმცა საქართველოში ჩამოსვლა არ სურს.

# ლიბერთი ბანკისა“ და მაგთიკომის“ ერთობლივი ახალი, ინოვაციური პროექტი

ნათია ხურცილავა

„ლიბერთი ბანკის“ მობილური ბანკინგით სარგებლობა „მაგთიკომის“ ყველა აბონენტს სპეციალური აპლიკაციის დაყენების გარეშე შეუძლია.

სმარტპეი – ამ სახელწოდების ინოვაციური პროდუქტი, რომელიც მობილურ ბანკინგს აბონენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის საზოგადოებას დღეს „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა, ლადო გურგენიძემ და „მაგთიკომის“ გენერალურმა დირექტორმა, დევიდ ლიმ წარუდგინეს.

როგორც ლადო გურგენიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის „ლიბერთი ბანკისა და „მაგთიკომის“ ერთობლივი ახალი, ინოვაციური პროექტი.

მობილური ბანკინგი ამ დრომდე რამდენიმე ბანკს, მათ შორის „ლიბერთი ბანკსაც“ დანერგილი ჰქონდა, თუმცა მის გამოსაყენებლად აუცილებელი იყო მხოლოდ ძვირადღირებულ აიფონის ან ანდროიდ სმარტფონებზე შესაბამისი აპლიკაციის დაინსტალირების შემთხვევაში. დღეიდან სერვისით სარგებლობა ნებისმიერი ტიპის მობილური ტელეფონით იქნება შესაძლებელი.

ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია „ლიბერთი ბანკში“ გახსნას „სმარტივი ანგარიში“, ანგარიშის გახსნისას მიუთითოს თავისი მობილურის ნომერი (მაგთი, ბალი, ბანი). ამის შემდეგ „სმარტივი ანგარიშის“ მართვა უკვე შესაძლებელი იქნება მობილური ტელეფონის საშუალებით. სერვისის მეშვეობით მომხმარებელი შეძლებს გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, შეავსოს როგორც საკუთარი, ასევე სხვების მობილური ტელეფონის ბალანსი, შეამოწმოს „სმარტივი ანგარიშის“ ბალანსი, გადარიცხოს თანხა სხვა „სმარტივ ანგარიშზე“, ჩაირიცხოს საკუთარ ელექტრონულ საფულეზე და პირიქით.

იმ მომხმარებლებს, რომლებსაც „ლიბერთი ბანკის“ „სმარტივი ანგარიში“ უკვე გახსნილი აქვთ, სერვისით სარგებლობა უკვე შეუძლიათ. გააქტიურებისთვის მათ უნდა აკრიფონ *555№ ოქეი და შემდეგ მიყვნენ მარტივ ინსტრუქციას.

სმარტივი ნიკის მომსახურების შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე სმარტივი. გე ან „მაგთიკომის“ და „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში.

# ახალი ხელისუფლება შრომის ბაზრის კვლევას დაიწყებს



**გუშინ „ქორთიარდ მარიოტმა“ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა სოციალური დიალოგისა და შრომითი სტანდარტების შესახებ საქართველოში. კონფერენცია ფრიდრიხ ებერტის ფონდის ინიციატივით უკვე მესამედ გაიმართა, რომელზეც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად საქართველოში შრომითი ურთიერთობის მდგომარეობა იქნა განხილული. მოწვეულ სტუმართა შორის ერთი მხრივ იყვნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მეორე მხრივ — დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები, დასაქმებულთა ინტერესების წარმოსაჩენად კი — პროფესიული კავშირების წარმომადგენლები. კონფერენციაზე ყველა მონაწილე მხარე შეთანხმდა იმ საკითხზე, რომ აუცილებელია დამკვიდრდეს სოციალური დიალოგი, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსულტაციებში ყველა მხარე იქნება ჩართული.**

მერი ნამორაძე

სოციალური დიალოგი გულისხმობს მმართველობის დეცენტრალიზებას და საზოგადოების მიერ მმართველობითი პასუხისმგებლობის გაზიარებას. ამგვარი თანამონაწილეობის უნარი მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებას აქვს, რომელიც გავლენას ასოციაციის შექმნით და წარმომადგენლობის უზრუნველყოფის გზით მოიპოვებს. წარმატებული სოციალური დიალოგი ზრდის საზოგადოების ხელთ არსებულ რესურსებს დემოკრატიულ პროცესებში თანამონაწილეობისთვის.

საქართველოში არსებული შრომის კანონმდებლობა არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ობიექტი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში ნათქვამია, რომ იყო შემთხვევები, როცა კერძო და საჯარო სექტორში დამსაქმებლები ემუქრებოდნენ და ავიწროვებდნენ დასაქმებულებს პროფკავშირული საქმიანობის გამო. ესენი იყვნენ მასწავლებლები, მაღაროში, ნავთობსადენზე და პორტში მომუშავე ადამიანები, ასევე თბილისის მუნიციპალური დაწესებულებების მოსამსახურენი. თუმცა, პროფკავშირმა წლის განმავლობაში ვერ დაადგინა გათავისუფლების ისეთი შემთხვევა, რომელიც აშკარად იქნებოდა დაკავშირებული პროფკავშირულ წევრობასთან. ამის მიზეზი ის არის, რომ შრომითი კონტრაქტები საწარმოების უმეტესობაში იყო ხანმოკლე, დაახლოებით ერთთვიანი, ასე რომ, დამსაქმებელს შეეძლო გათავისუფლების მიზეზად დაესახელებინა კონტრაქტის ვადის გასვლა.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ კერძო თუ საჯარო სექტორში დადგენილი მინიმალური ყოველთვიური ხელფასი ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ სტანდარტებს. მინიმალური ხელფასის ოდენობა საჯარო სექტორში 2005 წლიდან არ შეცვლილა, ხოლო კერძო სექტორში, 90-იანი წლებიდან. მთავრობამ განსაზღვრა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების სტანდარტები, მაგრამ სახალხო დამცველის ოფისის განცხადებით, დასაქმებულთათვის შრომის უსაფრთხო პირობების ვერუზრუნველყოფა არის შრომის კოდექსის იმპლემენტაციის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლოვანება. 2009 წელს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გაუქმდა სამუშაო ადგილებზე მონიტორინგის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო – ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი იქ არსებული კორუფციის გამო, რის შედეგადაც მსგავსი ფუნქციების მატარებელი სახელმწიფო დაწესებულება აღარ არსებობს. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის სააგენტოს აქვს ინსპექტირების პასუხისმგებლობას, მაგრამ მხოლოდ საშიში პროფესიების მიმართ.

ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც ბოლო ხანებში ძველმა ხელისუფლებამ მიიღო, ეხებოდა კანონმდებლობის გაუმჯობესებას და ვალდებულებებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას.

გუშინ, საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრმა, კახა საკანდელიძემ კონფერენციის მონაწილეებს ქვეყანაში შრომის კანონმდებლობის შექმნის ისტორია შეახსენა და 90-იანი წლები გაიხსენა, როცა შეიქმნა დასაქმების კანონი და გაჩნდა უმუშევრის ცნება. შეიქმნა ასევე დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი. 1992 წელს კი ქვეყანა გაწევრიანდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში. 1993 წლიდან დაიწყო მიერთება საერთაშორისო კონვენციებთან:

– იყო მცდელობა, შრომის კანონთა კოდექსი მოგვეყვანა შესაბამისობაში საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტებთან. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად დაიწყო ამ სისტემის დაშლა, დისკრეტიზაცია... იქამდე მივედით, რომ საბოლოოდ სიტყვა „შრომა“ მხოლოდ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სათაურში დარჩა, – აღნიშნა დასაქმების სახელმწიფო მინისტრმა.

მისი თქმით, ამჟამად სამინისტრო ცდილობს გამოასწოროს ის დრაკონული შრომის კანონმდებლობა, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული. რადგან ქვეყანა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიისწრაფვის, იქ არსებულ ნორმებს უნდა მიესადაგებოდეს ჩვენი კანონმდებლობაც. ახალი ხელისუფლება უკვე გაეცნო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. პირველი გადადგმული ნაბიჯი, სამთავრობო კომისიის შექმნაა, რომელიც შეისწავლის შრომით დავებს და შეეცდება დაარეგულიროს ისინი.

მაინც რას გეგმავს უახლოეს მომავალში დასაქმების სახელმწიფო მინისტრი? უახლოეს მომავალში შეიქმნება სახელმწიფო პროგრამა, არც დასაქმების აქტიური პოლიტიკა იქნება მივიწყებული. ეს იქნება სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მოხდება უმუშევართა აღრიცხვა, შეფასდება პოტენციალი, პარალელურად მოხდება შრომის ბაზრის კვლევა, სადაც მინისტრისვე თქმით, მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, უმუშევრობის დონე შემაშფოთებელია. დახმარება სჭირდებათ იმათაც, რომლებსაც ძველი ხელისუფლება თვითდასაქმებულად მიიჩნევდა. ერთ ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი ვისაც გააჩნია, დღემდე დასაქმებულად ითვლება. მინისტრი პირობას დებს, რომ ამ ხალხსაც გაეწევა რეალური დახმარება. ამასთან, შეიქმნება კონსულტაციების და დასაქმების ცენტრები, სადაც აღრიცხვა-გადამზადება მოხდება., პარალელურად შესწავლილი იქნება საწარმოები იმ კუთხით, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ხალხის დამატებით დასაქმებას. შეიქმნება მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამებიც.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი ერთობ კმაყოფილი დარჩა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლის ინიციატივებით. მან გვერდი ვერ აუარა უახლოეს წარსულს, როცა საქართველოს შრომის კანონმდებლობა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტიკის ობიექტი გახდა და იმედი გამოთქვა, რომ წინა მთავრობების შეცდომები არ იქნება გამეორებული. როგორც პეტრიაშვილმა აღნიშნა, ერთმანეთის მტრებად არ უნდა იქცნენ დამსაქმებლები და დასაქმებულები. ამასთან, ცუდი არ იქნებოდა გაგვეანალიზებინა, რა შედეგები მოიტანა სახელმწიფოს ვითომდა არაჩაურევლობამ ამ პრობლემებში. გახშირებული გაფიცვების მიზეზი ქვეყანაში დასაქმებულთა უუფლებო მდგომარეობამ განაპირობა. დაჭერის, ნარკოტიკის ჩადების მოტივით ეს ადამიანები ხმას არ იღებდნენ.

– როგორც კი ჩაისუნთქეს ადამიანებმა თავისუფლების ჰაერი, მოხდა ის, რაც მოხდა. ასეთი უუფლებობა, როგორის საქართველოში არსებობდა, ბუნებრივია, გამოიწვევს დესტაბილიზაციას და საწარმოო კონფლიქტებს, – აღნიშნა პეტრიაშვილმა.

მისი თქმით, პროფკავშირების წარმომადგენლებს ფოთის პორტში თუ რკინიგზაში სასტიკად დევნიდნენ: – ტყიბულშიც, სადაც ხელისუფლებასთან შეზრდილ ბიზნესთან გვაქვს საქმე, ვამბობდით, რომ რეაბილიტაცია სჭირდებოდა შახტებს, ვეხვეწებოდით კომისიებში შეეყვანათ ჩვენი წარმომადგენლები, რათა არსებული ვითარება დაგვეხატა. არასოდეს შეგვიყვანეს, ერთი წლის განმავლობაში 11 ადამიანი გარდაიცვალა, 180%-ით გაიზარდა უბედური შემთხვევები,– აღნიშნა პეტრიაშვილმა.

პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილუზია, თითქოს დრაკონული შრომის კანონი მოიზიდავდა ინვესტიციებს, ილუზიად დარჩა. სინამდვილეში კლასიკურად ხდებოდა ერთმანეთისგან დასაქმებულების და დამსაქმებლების დაშორება. ფაქტიურად აკრძალული იყო მათ შორის დიალოგი. იქამდეც დადაბლდნენ, რომ ცრუპროფკავშირების შექმნა დაიწყეს. ამის მაგალითად პეტრიაშვილმა პედაგოგთა სინდიკატის შექმნა დაასახელა. ძველი ხელისუფლება სწორედ იმიტომ მტრობდა და დევნიდა პროფკავშირებს, რომ ისინი ქვეყანაში არსებულ რეალობას აწვდიდნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას და ამხელდნენ ხელისუფლებას.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ელგუჯა მელაძემ აღიარა, რომ შრომითი ურთიერთობების თემა მეწარმეებისთვის არ იყო აქტუალური, თუმცა დღეს უკვე არსებობს ამ კუთხით დაინტერესება. მელაძემ ჯანსაღი სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება ისურვა და სოციალური დიალოგის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

## ვანო მერაბიშვილი: სამწუხაროდ, ქართული ოცნება“ არ აპირებს დაპირებების შესრულებას“



„ჩემდა სამწუხაროდ და საქართველოს სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ არ აპირებს საკუთარი წინასაარჩევნო ძირითადი დაპირებების შესრულებას, თუმცა, აპირებს ანგარიშსწორებას ოპოზიციისა და განსხვავებული აზრის წინააღმდეგ, – ამის შესახებ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ვანო მერაბიშვილმა დღეს, პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამ კომენტარით ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოქმედი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის დღევანდელ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ტარიფების განახევრება „არ გამოვა“ და წინასაარჩევნო დაპირება გადაჭარბებული იყო.

მერაბიშვილის თქმით, გუშინ ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით რიტორიკით საუბრობდა, რაც ლამაზი არ არის. „როგორც ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, პროკურატურა ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ყველა საჩივარზე. ეს გარკვეული რიტორიკა და მუქარაა. „ნაციონალური მოძრაობა“ თავად გადაწყვეტს, როგორი რიტორიკით ისაუბროს“, – აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

მისივე განცხადებით, იგი მომავალი კვირის ორშაბათს ჟურნალისტებს კიდევ ერთხელ შეხვდება და შს სამინისტროში არსებულ ვითარებასა და ქვეყანაში კრიმინოგენურ ვითარებაზე ისაუბრებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ვინ დაეხმარება 6-შვილიან ოჯახს



ასი დედა ტერეზაც რომ მოევლინოს საქართველოს, მაინც გაგვიჭირდება კარგა ხანს. მენტალურად ბევრი რამეა ჩვენში შესაცვლელი, მაგრამ სამოქალაქო ღირსებების წინა პლანზე გადმოწევა უსწრაფესად უნდა მოხდეს. ყოფიერება თუ ცნობიერება კვერცხისა და ქათმისა არ იყოს, დიდხანს იქნება დავის საგანი, მაგრამ როცა სიცოცხლის და ჯანმრთელობის საკითხი ბავშვებს შეეხება, იქ მაინც ყოფიერებაზე გვირჩევნია საუბარი.

ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ კარიერა არ მაინტერესებს, რადგან კარიერა ჩემთვის მოვალეობებია, რომლის ცუდად შესრულებას მირჩევნია ჩრდილში უპრეტენზიოდ ყოფნა. ამით იმას ვამბობ, რომ თანამდებობა არ მიძებნია, ჩემი თავისაც კი ოპოზიცია ვარ და მით უფრო, როცა ადმინისტრაციული რესურსის არასწორ ნაბიჯს ვაკრიტიკებ, მხოლოდ პრობლემის აღმოფხვრა მსურს და არა ვიღაცის სავარძელში ჩასკუპება.

წინასაარჩევნოდ რაც ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჰქმნა, ეგეთი რამე წელში ერთხელ ეკეთებინათ, ,,ოცნება“ პარლამენტს კი არა, ჭორვილის შემოგარენსაც ვერ გასცდებოდა. ფული, ფქვილი, თუნუქი, ზეთი, მაკარონი, სატელეფონო ბარათები, საწვავი და რაც მთავარია, ოქროს სასახლეების აშენების დაპირება ტყუილად დაფანტეს ნაციონალებმა, ხალხს აღარ სჯეროდა 9 წელში გაუკეთებლის ერთ წელში გაკეთების და საარჩევნო ყუთებთან ის არჩევანი გააკეთეს, რაც ეიმედებოდათ.

ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ უპრეცედენტოდ ბევრს ხარჯავდნენ ამ არჩევნებისთვის. ბუნებრივია, სერიოზული კონკურენტის გამო ხარჯავდნენ, მაგრამ თითქმის ყოველი მეათე ამომრჩეველი კოორდინატორი ან ქვეკოორდინატორი ჰყავდათ და თუ არ ვცდები, თვეში 200 ლარის ოდენობით მაინც იძლეოდნენ ხელფასს.

ცალკე ხარჯი იყო ცხვარ-ღვინო. მიკვირდა, რატომ ცხვარი? ექელეხებოდათ მომავალი და ამიტომ?

მეც თითქოს ახალ ამბავს ვყვებოდე ახლა! ეს ყველაფერი არ ახალია, ძველია!

ეს კი ახალია:

ზემოიმერულ პატარა სოფელში მეხივით დაიარა ხმამ: ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ ერთ მოხუც ქალს 2 ათასი ლარი სახლის შესაკეთებლად მისცა, ზედ კიდევ თუნუქი და ცემენტიც დაამატა, აქაოდა ჩვენი საქმე ხალხზე ზრუნვა გახლავთო.

სულაც არ გამკვირვებია, ამ ქალს რომ მისცეს ეს ,,ჰუმანიტარული“ ტვირთი, ჩვენი ნაცმოძრაობელი დეპუატობის კანდიდატს როცა მწვავედ შევეპასუხე, სწორედ ამ მოხუცმა წამოიძახა: რით არის ნეტავ უკმაყოფილო? იქვე კანდიდატის თანმხლებმა ახალგაზრდა ქალმა უპასუხა: აბა მე რა ვიცი, ბებო?!

მერე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დამეტაკა და მეუბნებოდა: ,,რა გინდა, ბიჭო,შენ? მეც კიდე რიჩარდ ლომგულობა დავიჩემე და ორმეტრიან კაცს არ შევეპუე,გაკერპებული ცხვირწინ ხელებს ვუტრიალებდი და ნაცმოძრაობის ,,გრეხებს“ ზედმიწევნით ვუკაკლავდი.

ისე, ეს ჩემი ცოდვით სავსე ,,ინფო 9“ ყველაფერს რომ იღებდა, სიუჟეტში ვნახე და მოგვიანებით გავშიფრე, იმ მოხუცს ჩვენი ტერტორიული ორგანოს რწმუნებული გვერდით მიუჯდა, რალაც ჩასჩურჩულა და ბებოც ,,მოიქოქა“. თურმე 2 ათასი ლარი ასეთ უშტატო რეპლიკატორს მისცეს!

ძალიან მაინტერესებს, მაგრამ პასუხისთვის ვის მივაკითხო, ნაცმოძრაობის ოფისი რაიონულ ცენტრში უკაცრიელ სადგურს ჰგავს, ,,ოცნებას“ კიდევ ამაზე პასუხი არ ექნება...

ჩემს სოფელში ერთი ოჯახია, ნასხვისარი სახლი აქვთ, ალბათ 200 წლის ხის ოდაა, კედლებში ქარი, მზე და წვიმა თავისუფლად ატანს. სოციალური შემწეობა კი აქვთ, მაგრამ 8 ადამიანს, მათ შორის ყველაზე პატარა როცა 7 წლისაა, ვერანაირად ვერ ეყოფა. ერთი ბავშვი სერიოზული ავადმყოფია, მენჯის ძვლის ამოვარდნილობა აქვს, ახლა უკვე დაგვიანებულიაო მკურნალობა, უთქვამთ ექიმებს. ადრე, სანამ დრო იყო, ,,ავერსის“ ხალხი ავიკელი, 6 ბავშვი ჰყავთ, არიქა, 600ლარი მიეცით, დაბადების მოწმობებსაც მალე გავაკეთებინებ და იქნებ უშველონ პატარას-მეთქი. ხელი მოემართოს კურტანიძის ფარმაციულ ბიზნესს, 600 ლარი აჩუქეს, მაგრამ იმ ფულმა სიღარიბის ვერცერთი ჭურჭუტანა ვერ ამოავსო, ოპერაციას რომ თავი დავანებოთ!

იმერლების კუდაბზიკობისა გაგეგონებათ, მაგრამ ძალიან ძნელია კუდის ყავარზე გადება, როცა შენს თვალწინ 6 ბავშვი თოვლიან გზას მიუყვება და გახეთქილი რეზინის ჩექმებიდან ტიტველა დაწითლებული ქუსლები მოჩანს.

ვაღიარებ, რომ ბევრი კარგი მეგობარი მყავს, მათგან უმეტესი საზღვარგარეთ ცხოვრობს და ხშირად უსიტყვოდ ესმით ჩემი. ასე გამომიგზავნეს ან მომიტანეს საეკლესიოდ სამშენებლო მასალის ფული, ან სულაც საეკლესიო ზარი და წელში გამართული დავდივარ! თან ვტრაბახობ, უვარგისი რომ ვიყო, ამდენი კარგი ადამიანი არ იტრიალებს ჩემს ირგვლივ-მეთქი! სწორედ ამ მეგობრების წყალობით საახალწლოდ, სააღდგომოდ და ზოგჯერ სხვა დროსაც ამ ბავშვებს ტკბილეულიც მისვლიათ და ტანსაცმელიც, მაგრამ ასეთი ერთჯერადი დახმარება ვერც სახლს აუშენებს პატარებს და ვერც ნათელ მომავალს დაუმკვიდრებს.

რომ ვეკამათო (ჩემი კამათი კივილის ტონალობაა, ჩემდა სამწუხაროდ) იმ ადამიანს, რომელმაც 2 ათასი ლარი არ მისცა 6 ბავშვიან ოჯახს, რომელსაც მართლა თავზე ენგრევა ჭერი, გამამტყუნებთ? იმედია, არ გამამტყუნებთ! ჰოდა,მოემზადოს ჩვენი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, უნდა ვკითხო, რატომ აუარა გვერდი ხალხზე მზრუნველმა ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ ექვს პატარას?!

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**არგუმენტიგე**

# ნანი ბრეგვაძე რუსეთში ჩადის

ეკა ირემაშვილი



**ქართული ესტრადის დედოფალი ნანი ბრეგვაძე რუსეთში ჩავა და ქართული ხელოვნების ფესტივალს გახსნის. სანკტ-პეტრბურგში ქართული ხელოვნების ფესტივალი 28 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში ნანი ბრეგვაძისა და „ქართული ხმების“ კონცერტით გაიხსნება.**

ქართული ხელოვნების კვირეული 5 დეკემბერს დაიხურება. მთელი კვირის განმავლობაში, კონცერტების გარდა, დაგეგმილია ქართული კინოს ჩვენებებიც. კინოფილმების ჩვენებები კინოცენტრ „როდინაში“ მოეწყობა და წარმოდგენილი იქნება როგორც მუნჯური მოკლემეტრაჟიანი, ასევე ლეგენდარული და თანამედროვე ფილმები. მაყურებელი იხილავს სერგო ფარაჯანოვის, გიორგი შენგელაიას, ნანა ჯორჯაძისა და ირაკლი კვირიკაძის ფილმებს. ირაკლი კვირიკაძემ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სააქტო დარბაზში მასტერკლასი უკვე ჩაატარა და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ღონისძიების კურატორმა ჯაბა სიხარულიძემ განაცხადა:

– რეჟისორს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაღებული აქვს ფილმები „ქვევრი“, „პამირის მთებში“, „კონცერტი-72“, ასევე მხატვრული ფილმები „ქალაქი ანარა“, „მოცურავე“. მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია 20-მდე მხატვრული ფილმი, მათ შორის რეჟისორ ნანა ჯორჯაძის თითქმის ყველა მხატვრული ფილმი „მეტეოიდიოტის“ ჩათვლით, „ურჩხული ანუ ვილაც სხვა“ (რეჟისორი ალიასკარ ფატხულინი), „ლიმიტა“ (რეჟისორი დენის ევსტიგნეევი), „ლუნა პაპა“ (რეჟისორი ბახტიარ ხუდოინაზაროვი), „ბერძნული არდადეგები“ (რეჟისორი ვერა სტოროჟევა), „ჩვენი დროის გმირი“ (რეჟისორი ალექსანდრ კოტი), „მამა“ (რეჟისორი ივან სოლოვიოვი). ირაკლი კვირიკაძის სცენარით შეიქმნა რამდენიმე ქართული მულტიპლიკაციური ფილმიც: „ტალანტი“, „ახლა გამოფრინდება ჩიტი“, „ჟანგიანი რაინდი“, „ბო-ბო“, „ლოკოკინა“. 1989 წელს საფრანგეთის სცენარების ყოველწლიურ კონკურსზე უმაღლესი პრემია – გრან-პრი მიენიჭა კინოსცენარს „ლოყებლაჟღაჟა დონ ჟუანის ცრემლები“, თვითონ ირაკლი კვირიკაძე კი აღიარეს „საფრანგეთის 1989 წლის საუკეთესო სცენარისტად“. ამავე წელს ამერიკაში ჩატარებულ სასცენარო კონკურსში პრიზი „ჰარტლი-მერილი“ საუკეთესო სცენარისათვის მოიპოვა მისმა სცენარმა „ამერიკელი მეძავი“. რუსეთსა და სხვა ქვეყნებში გამოცემული რომანების, მრავალი მოთხრობის, ესეებისა და კინოსცენარების ავტორი ირაკლი კვირიკაძე საკუთარ თავს ხშირად უწოდებს „გრაფომანს“ და თავის მოწოდებადაც, რეჟისურაზე მეტად, ამბების შეთხზვა მიაჩნია. ამჟამად იგი ამერიკაში, გერმანიასა და რუსეთში მუშაობს.

რაც შეეხება რუსეთში დაგეგმილ ქართული ხელოვნების ფესტივალს, მის ორგანიზატორთა განცხადებით, ღონისძიების მიზანია, ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების ახალ ეტაპზე ხალხთა შორის სულიერი კავშირი გააღრმავოს. ქართული ხელოვნების ფესტივალი რუსეთში ყოველწლიური გახდება.

ქართული კინოს დღეები გაიმართება ბრატისლავაშიც. ოთხი დღის განმავლობაში სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში ეროვნული კინოცენტრისა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის ორგანიზებით და ასევე სლოვაკეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართება ქართული კინოს დღეები. ბრატისლავაში ნაჩვენები იქნება 7 ქართული ფილმი, როგორც კინოკლასიკის ნიმუშები, ასევე ბოლო წლების ნამუშევრები. კინოჩვენებებს გახსნის რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმი „ქუჩის დღეები“. პროგრამაშია „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ (წარმოება: ჩეხოსლოვაკია, საბჭოთა კავშირი, რეჟისორები: იოზეფ მედვედი, თემურ ფალავანდიშვილი), „მაგდანას ლურჯა“ (რეჟისორები თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე), „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ (რეჟისორი ნანა ჯანელიძე), „სამი სახლი“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე), „გაღმა ნაპირი“ (რეჟისორი გიორგი ოვაშვილი), „შანტრაპა“ (რეჟისორი ოთარ იოსელიანი).

ქართული კინოს დღეებს ბრატისლავაში დაესწრებიან ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და დირექტორის მოადგილე სალომე სეფაშვილი, ასევე ქართველი კინემატოგრაფისტები ნანა ჯანელიძე და ქეთი მაჭავარიანი.

– სლოვაკეთსა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დიპლომატიური ურთიერთობები არსებობს. კულტურული თანამშრომლობის მთავარი სიმბოლოა 1977 წელს გადაღებული ფილმი „რაჭა, ჩემო სიყვარულო“, რომელიც პირველ ქართულ-სლოვაკურ კოპროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს. „ქართული კინოს დღეები“ და მის ფარგლებში მოწყობილი კინოჩვენებები ხელს შეუწყობს საქართველოსა და სლოვაკეთის კინოინდუსტრიების დაახლოებასა და ქართული კინოს პოპულარიზაციას სლოვაკეთში, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

# თბილისში საერთაშორისო ფორუმი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

25-დან 27 ნოემბრის ჩათვლით თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი, რომელიც 5 თვის წინ შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველ საერთაშორისო ფორუმს ჩაატარებს სახელწოდებით „პოსტსაბჭოთა დრამატურგია – აქცენტები ცენზურის გარეშე დარჩენილ სივრცეში“. როგორც თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, ამ ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია ორი სხვადასხვა გამოცემის პრეზენტაცია, კრებულში შესული პიესების თეატრალიზებული კითხვები ილიაუნის თეატრში და პლენარული სესიები პოსტსაბჭოთა ქვეყნების თეატრის კრიტიკოსთა მონაწილეობით.

– პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პირველი საერთაშორისო შეხვედრაა კრიტიკოსებისა და დრამატურგების, ასევე გამოცემა პირველია ამ სივრცეში, სადაც ორ ენაზე – ქართულსა და ინგლისურზე დაიბეჭდა პიესების კრებული, რომელსაც ახლავს უცხოელ კრიტიკოსთა წარდგინებანი. საერთაშორისო ფორუმზე თბილისში შეიკრიბებიან თეატრის ახალგაზრდა კრიტიკოსები პოსტსაბჭოთა სივრციდან – აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ლიტვიდან, ბელორუსიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან, რომლებიც წარმოადგენენ მოხსენებებს საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე თეატრსა და ეროვნულ დრამატურგიაში საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე.

პლენარული სესიების გარდა, საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში გაიმართება გამოცემა „პოსტსაბჭოთა დრამატურგიის“ პრეზენტაცია, დრამატურგ რეზო კლდიაშვილის წიგნის პრეზენტაცია, კრებულში შესული პიესების თეატრალიზებული კითხვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დრამატურგები და თეატრის კრიტიკოსები პოსტსაბჭოთა სივრციდან პირველად ამ საერთაშორისო ფორუმზე შეიკრიბებიან და ერთობლივად იმსჯელებენ შემოქმედებით პრობლემებსა და იმ ტენდენციებზე, რომლებსაც ადგილი აქვს თითოეული ქვეყნის თეატრსა და უახლეს დრამატურგიაში, – აღნიშნავს ლაშა ჩხარტიშვილი.

26 ნოემბერს წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ გაიმართება წიგნ „რეზო კლდიაშვილის“ პრეზენტაცია. ეს წიგნი თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა მოამზადა. მისი რედაქტორ-შემდგენელია თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი და ეძღვნება ცნობილ ქართველ დრამატურგ რეზო კლდიაშვილს.

– წიგნი გვამცნობს მწერლის პირად და შემოქმედებით ბიოგრაფიას თარიღებში. მასში თავმოყრილია ამონარიდები მისი პიესების შესახებ დაწერილი რეცენზიებიდან. მათ შორისაა „საპოვნელა“, „იადონას თეატრი“, „შორაპნელი ქალბატონები“, „როსტომ მანველიძე“, „მარტოობის ბინადარი“, „პილონი“, „ზარატუსტრას ჟამი“. წიგნს თან ერთვის რეზო კლდიაშვილის შემოქმედების სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემები, მის მიერ შექმნილი ნაწარმოებების, მისი თარგმანებისა და მასზე დაწერილი რეცენზიების ნუსხა. წიგნი ფართოდ არის ილუსტრირებული იური მეჩითოვის, გურამ წიბახაშვილის, გიორგი მამედოვის ფოტოებით. გამოცემის პრეზენტაციაზე წიგნს წარმოადგენს თავად დრამატურგი, რომელიც მოგვითხრობს მის მიერ განვლილ გზაზე, მის ურთიერთობაზე სოფიკო ჭიაურელთან. ცნობილია, რომ მის ორ პიესაში მსახიობი მთავარ როლებს ასრულებდა და ასევე წარმოადგენს ეპიზოდებს მისი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლებიდან. გამოცემა მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის „პოსტსაბჭოთა ქართული დრამატურგიის კვლევის“ პროგრამის ფარგლებში. წიგნის ელექტრონული ვერსია უკვე ატვირთულია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია პიესების კრებულის „პოსტსაბჭოთა დრამატურგია“ პრეზენტაცია და „თეატრალიზებული კითხვები“ ილიაუნის თეატრში. 27 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული პიესების და წერილების კრებულის „პოსტსაბჭოთა დრამატურგიის“ პრეზენტაცია და კრებულში შესული პიესების „თეატრალიზებული კითხვები“.

– 600-გვერდიანი გამოცემა „პოსტსაბჭოთა ქვეყნების დრამატურგია – აქცენტები ცენზურის გარეშე დარჩენილ სივრცეში“ წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყნების დრამატურგიაში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ანალიზს საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე. კრებული იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ის მომზადებულია ქართულ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა□და□ხობის□მიტროპოლიტ□გრიგოლის□კურთხევით
2009□წლის□ივლისიდან□მიმდინარეობს□ხობის□მონასტრის
უძველესი□ტაძრის□სარესტავრაციო-აღდგენითი□სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფყრჯ ჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 LBRTGE22
fyu8 N GE28LB 0122 1802 48686 000



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs
cohfab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib
2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2
[j,bc vjyfcnthb8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ბინა 27 კვ.მ. ბ/აირით სველი წერტილით, შესაძლებელია აივნის მიშენება, საერთო კორიდორით, ნაძალადევში, მეტროსთან ახლოს, საყვირის ქ.№2, ეიტსკის შენობა, II სართული, ფასი 15.000 დოლარი, ტელ: 558-50-77-39 ინგა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიის და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17, ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

# შენგელიას სიმბოლური წამები ერგო



ნაციონალური საკალათბურთო ლიგის მაჩანჩალა „ვაშინგტონმა“, რომელსაც, ჯერ ერთი, გამარჯვებაც კი არ მოუპოვებია, ატლანტაში „ჰოუქსი“ გვარიანად ანერვიულა. ზაზა ფაჩულიას გუნდს დამატებითი დრო დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ატლანტელებმა დიდი გაჭირვებით 101:100 იმარჯვეს და წარმატებული სერია სამ მატჩამდე გაზარდეს.

დედაქალაქელებთან ბრძოლის სიმძიმემ ძირითადად სასტარტოებზე გადაიარა, რომელთა შორისაც ამჯერადაც ვერ ვიხილეთ ზაზა ფაჩულია. ატლანტელთა დამრიგებელმა ხუთეულში ადგილი მოუძებნა ბასრი მიზნის მქონე კაილი კორვერს, რომელიც ჩინებულად თამაშობს და აღნიშნულ მატჩშიც ვაშინგტონელებს 5 სამქულიანი ჩაუგდო. წინა ხაზში კი ჯოშ სმიტისა და ალ ჰორფორდის სახით მყარი ტანდემი ჩამოყალიბდა.

ქართველმა ცენტრმა სათადარიგოთაგან ყველაზე მეტი – 18:30 წუთი ითამაშა. ფაჩულიამ 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან სამივე საჯარიმო ჩააგდო, 7 ქულა დააგროვა, რასაც 6 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაყოლა.

სამმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა ალ ჰორფორდს, რომელმაც 15 ქულა, 10 პასი და 9 მოხსნა მოაგროვა. საუკეთესო შედეგი ჯოშ სმიტმა დააფიქსირა – 25 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება, 2 ჩაჭრა. ეს ატლანტელთა მე-6 გამარჯვებაა 4 მარცხის წილ.

ზუსტად ასეთი შედეგი აქვს თორნიკე შენგელიას „ბრუკლინს“, რომელიც გუშინ, გამთენიისას, ოკლენდში „გოლდენ სტეიტთან“ 93:102 დამარცხდა. შენგელიამ შეხვედრაში სიმბოლური მონაწილეობა მიიღო – მწვრთნელმა მატჩის დასასრულს 53 წამით შეუშვა მოედანზე.

მომდევნო მატჩს ბრუკლინელები 23 ნოემბერს შინ „კლიპერსთან“ გამართავენ, ხოლო ფაჩულიას გუნდი ამავე დღეს შარლოტში „ბობქეთსს“ დაუპირისპირდება.

# ზურაბ კაკაბაძე ხელბურთის სათავეში ჩაუდგა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. არჩევნებში ხმის მიცემის მქონე 22 დელეგატიდან 20 გამოცხადდა და ხელბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი აირჩია.

არჩევნებს დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე თამაზ თევზაძე, რომლებმაც დამსწრე დელეგატებსა და ხელბურთის ფედერაცის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართეს, მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვეს და ახალი პრეზიდენტის არჩევამდე დარბაზი დატოვეს.

21 ნოემბრამდე ფედერაციის პრეზიდენტობისთვის 3 კანდიდატი იბრძოდა – ვახტანგ მეიფარიანი, ზურაბ კაკაბაძე და ზაზა კალანდაძე, თუმცა არჩევნების წინა დღეს ორმა კანდიდატმა ვახტანგ მეიფარიანმა და ზაზა კალანდაძემ კანდიდატურა მოხსნა, პრეზიდენტობის დარჩენილ კანდიდატს ზურაბ კაკაბაძეს კი 20 დელგატიდან მხარი 19-მა დაუჭირა.

არჩეულმა პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტებად იმედო ფხაკაძის, ვახტანგ მეიფარიანისა და ელიზბარ არსენაშვილის დამტკიცება ითხოვა, რაზეც დელეგატებისგან მხარდაჭერა მიიღო. დამტკიცდა ახალი გენერალური მდივანიც. ეს თანამდებობა ქეთევან კობერიძემ დაიკავა.

ასევე ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად დამტკიცდა ჯემალ ცერცვაძე და აღმასკომის რამდენიმე წევრი, მათ შორის ლაშა სალუქვაძე, რომელიც ძირითადად მედიასთან ურთიერთობის კუთხით იმუშავებს.

აირჩიეს 20 დეკემბერს ოლიმპიური კომიტეტის არჩევნებზე წარსადგენი კანდიდატიც – ხელბურთის ფედერაციის სახელით არჩევნებს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე ჩაატარებს.



## შედეგები

### ფეხბურთი

**ხოკას თასი. ფინალი**

**განმეორებითი მატჩი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ბრაზილია | 2:1(1:3პ) |

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| პორტუ-დინამო(ზ) | 3:0 |
| დინამო(კ)-პსჟ | 0:2 |
| არსენალი-მონპელიე | 2:0 |
| შალკე-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| ზენიტი-მალაგა | 2:2 |
| ანდერლეხტი-მილანი | 1:3 |
| სიტი-რეალი | 1:1 |
| აიაქსი-დორტმუნდი | 1:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-ნიუ ორლეანი | 115:107(ოტ) |
| კლივლენდი-ფილადელფია | 92:83 |
| ორლანდო-დეტროიტი | 90:74 |
| შარლოტი-ტორონტო | 98:97 |
| ატლანტა-ვაშინგტონი | 101:100(ოტ) |
| ზაზა ფაჩულია: 7 ქულა, 6 მოხსნა | |
| ბოსტონი-სან ანტონიო | 100:112 |
| მაიამი-მილუოკი | 113:106(ოტ) |
| ოკლაჰომა-კლიპერსი | 117:111(ოტ) |
| მინესოტა-დენვერი | 94:101 |
| ჰიუსტონი-ჩიკაგო | 93:89 |
| დალასი-ნიუ იორკი | 114:111 |
| ფინიქსი-პორტლენდი | 114:87 |
| საკრამენტო-ლეიკერსი | 113:97 |
| გოლდენ სტეიტი-ბრუკლინი | 102:93 |

# ოთხი ჯგუფის რვა გუნდი ცნობილია

## ა ჯგუფი

### პორტუ _ დინამო (ზ) 3:0

**1:0 ლუჩო (20), 2:0 მოუტინიო (67), 3:0 ვარელა (85)**

**პორტუ**: ჰელტონი, დანილო, ბა (ალექს სანდრო 66), ოტამენდი, მანგალა, ლუჩო (აცუ 75), დეფური (ფერნანდო 66), მოუტინიო, როდრიგესი, მარტინესი, ვარელა.

**დინამო**: კელავა, ვრსალჟკო, ვიდა, სიმუნჩი, პივარიჩი, ადემი, ბექირაი (კრსტანოვიჩი 86), კოვაჩიჩი, ბროზოვიჩი, კოპი (ჰალილოვიჩი 84), სამირი (პულიჩი 76).

პორტუგალიელებმა შემდეგ ეტაპზე გასვლა მანამდე გაინაღდეს, თუმცა უნდათ ჯგუფი პირველი ადგილით დაასრულონ და ამიტომ მეტოქე არ დაინდეს.

ზაგრების „დინამო“ კი ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც მიმდინარე გათამაშებაში ჯერ გოლი არ გაუტანია.

### დინამო (კ) _ პსჟ 0:2

**0:1 ლავესი (45), 0:2 ლავესი (52)**

**დინამო**: კოვალი, სილვა, ბეტაო, ხაჩერიდი, ტაივო, გერმაში (ბოგდანოვი 78), ველოზუ, დუდუ, არუნა (მილევსკი 67), გუსევი (იარმოლენკო 66), იდეიე

**პსჟ**: სირიგუ, ვან დერ ვილი, ალექსი, სილვა, მაქსველი, სისოკო (შანტომი 69), ვერატი (არმანი 78), მატუიდი, ლავესი, ნენე (პასტორე 87), იბრაჰიმოვიჩი

45-ე წუთზე ზლატან იბრაჰიმოვიჩის კარგი პასის შემდეგ, ანგარიში ეზეკიელ ლავესიმ გახსნა. თუმცა, არგენტინელი ამას არ დასჯერდა და მე-2 ტაიმის დასაწყისში დუბლი შეასრულა. ამ მოგებით პსჟ შემდეგ ეტაპზე გავიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| 2.პსჟ | 5 | 4 | 0 | 1 | 12:2 | 12 |
| 3.დინამო (კ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 4.დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | 0 |

## ბ ჯგუფი

### არსენალი _ მონპელიე 2:0

**1:0 უილშირი (49), 2:0 პოდოლსკი (63)**

**არსენალი**: შესნი, სანია, მერტეზაკერი, კოსილნი, ვერმაელენი, არტეტა, უილშირი, კასორლა (კოკელინი 84), ჩემბერლენი (რემსი 69), ჟირუ (ჟერვინიო 84), პოდოლსკი

**მონპელიე**: ჟურდრენი, დეპლანჟი, კონგრი, ელ კაუტარი, ბედიმო, იანგა მბივა, ესტრადა (მარვო 79), კაბელა (ერერა 68), ბელანდა, მუნიე, შაბრონიე (მარტინი 69)

თავისი ყოფილი გუნდის გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა ოლივიე ჟირუმ. ფრანგმა შემტევმა 2 საგოლე გადაცემა გააკეთა და ჯერ ჯეკ უილშირს, ხოლო შემდეგ ლუკაშ პოდოლსკის გაატანინა.

„არსენალი“ უკვე მერვედფინალშია, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონი ევროპის ლიგაზე ფიქრსაც დაემშვიდობა.

### შალკე _ ოლიმპიაკოსი 1:0

**1:0 ფუხსი (77)**

**შალკე**: უნერშტალი, ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი, ჯონსი, ნოიშტადტერი, ფარფანი, ჰოლტბი (პუკი 71), დრაქსლერი (ბარნეტა 88), ჰუნტელაარი (მარიკა 90)

**ოლიმპიაკოსი**: კეროლი, ტოროსიდისი, მანოლასი, სიოვასი, ჰოლებასი, მანიატისი, მოდესტო (იბაგასა 81), გრეკო (ფუსტერი 66), აბდუნი, მიტროღლუ (ჯებური 74), მაჩადო

გელზენკირხენელებმა „ოლიმპიაკოსი“ ფუხსის გოლით დაამარცხეს. ავსტრიელმა მარცხენა მცველმა თავი დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმით გამოიჩინა.

ამ გოლმა გაარკვია, რომ „შალკე“ მერვედფინალშია, ხოლო „ოლიმპიაკოსი“ ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შალკე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 11 |
| 2.არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| 3.ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| 4.მონპელიე | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | 1 |

## ც ჯგუფი

### ზენიტი _ მალაგა 2:2

**0:1 ბუონანოტე (8), 0:2 ფერნანდესი (9), 1:2 დანი (49), 2:2 ფაიზულინი (86)**

**ზენიტი**: მალაფეევი, ანიუკოვი (ბისტროვი 81), ალვეში, ლომბაერტსი, ჰუბოკანი, ვიტსელი, დენისოვი, შიროკოვი (ფაიზულინი 72), ჰალკი, დანი, კერჟაკოვი

**მალაგა**: კაბალიერო, გამესი, დემიკელისი (ველიგტონი 46), ონიევუ, ელიზეუ, ფერნანდესი (ხუანმი 76), ტულალანი, კამაჩო, დუდა (პორტილიო სოლერი 63), ბუონანოტე, სანტა კრუსი

**გაძევება**: ბისტროვი 90

სანკტ-პეტერბურგიდან ქულით დაბრუნდა „მალაგა“, რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა პლეი ოფში თამაში და რუსეთს გადახალისებული შემადგენლობით ეწვია. თუმცა, ისე დაიწყეს თამაში, რომ ტრიბუნები უმალ დაადუმეს. მე-8 და მე-9 წუთებზე გატანილი გოლებით ანდალუზიელები 2:0 იგებდნენ, თუმცა მე-2 ტაიმში, „ზენიტმა“ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა.

### ანდერლეხტი _ მილანი 1:3

**0:1 ელ შაარავი (47), 0:2 მექსე (71), 1:2 დე სუტერი (78), 1:3 პატო (90)**

**ანდერლეხტი**: პროტო, ჟილე, კუიატე, ნუიტნიკი, დეშახტი, ბილია, კლიესტანი, ბრუნო (იაკოვენკო 65), პრაეტი (დე სუტერი 75), იოვანოვიჩი (კანესინი 77), მბოკანი

**მილანი (4-3-3):** აბიატი, დე სილიო, მექსე (საპატა 79), იეპესი, კონსტანტი (ემანუელსონი 74), მონტოლივო, დე იონგი, ნოჩერინო, ბოატენგი, ბოიანი (პატო 67), ელ შაარავი

**გაძევება**: ნუიტნიკი 70

ბრიუსელში მოპოვებული 3 ქულით, „მილანი“ მე-2 ადგილზე გამაგრდა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პლეი ოფის საგზური გუნდმა წვალებითა და დიდი ჯაფის შედეგად მოიპოვა.

ანგარიში 47-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც ელ შაარავიმ მცველი იოლად მოატყუა და ეფექტური ბურთი გაიტანა. 70-ე წუთზე მონტოლივომ საჯარიმოს წინა ხაზთან ჩააწოდა, ხოლო მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა მექსემ ბურთი მკერდით გააჩერა და დაახლოებით 20 მეტრიდან მაკრატელა დარტყმით მას ადგილი მეკარისგან შორეული კუთხეში მიუჩინა. ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა.

შეხვედრის ბოლომდე გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| 2.მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| 3.ზენიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 4.ანდერლეხტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | 4 |

## დ ჯგუფი

### სიტი-რეალი 1:1

**0:1 ბენზემა (10), 1:1 აგუერო (73პ)**

**სიტი**: ჰარტი, საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, მაიკონი, ტურე, სილვა, ნასრი (ტევესი 60), კოლაროვი (გარსია 46), ჯეკო, აგუერო (მილნერი 88)

**რეალი**: კასილიასი, არბელოა, რამოსი, პეპე, კოენტრაუ, ხედირა, ალონსო, დი მარია (ალბიოლი 90), მოდრიჩი (კალიეხონი 68), რონალდუ, ბენზემა (ვარანი 75)

**გაძევება**: არბელოა 73

ტურის ცენტრალურ მატჩში სტუმრებმა ანგარიში მე-10 წუთზე გახსნეს – დი მარიას პასის შემდეგ კარიდან ახლოს მყოფ უმეთვალყურეოდ დატოვებულ ბენზემას გატანა არ გასჭირვებია.



პირველ ტაიმში „რეალს“ კიდევ 2 გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ რონალდუს დარტყმის შემდეგ ბურთი ცარიელი კარიდან ნასტასიჩმა გამოიტანა, ხოლო მეკარესთან პირისპირ გასულმა ხედირამ ჰარტს ვერ აჯობა.

მე-2 ტაიმში მომენტებს უკვე მასპინძლები ქმნიდნენ და 73-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა. საკუთარ საჯარიმოში არბელოამ აგუერო წააქცია, რასაც ესპანელისთვის მე-2 ყვითელი ბარათის ჩვენება და თერთმეტრიანის დანიშვნა მოჰყვა. სტანდარტი გოლად თავად აგუერომ აქცია.

საინტერესოა, რომ ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მე-2 გათამაშებაში ინგლისის ჩემპიონი გუნდი ჯგუფიდან გასვლას ვერ ახერხებს. ერთი წლის წინ მერვედფინალში გასვლა „სიტის“ თანაქალაქელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ვერ მოახერხა.

### აიაქსი _ დორტმუნდი 1:4

**0:1 როისი (8), 0:2 გიოტცე (36), 0:3 ლევანდოვსკი (41), 0:4 ლევანდოვსკი (67), 1:4 ჰოესენი (86)**

**აიაქსი**: ვერმეერი, ვან რიინი, ალდერვაირელდი, მოიზანდერი, ბლინდი, ენოჰი (ჰოესენი 64), პოულსენი (შონე 46), ერიკსენი, ლუკოკი, დე იონგი, ბოერიგტერი (ფიშერი 73)

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი, ბენდერი (პერისიჩი 63), გიუნდოგანი, გიოტცე (ბლაშჩიკოვსკი 70), როისი (შიბერი 79), გროსკროიტცი, ლევანდოვსკი

გერმანელებმა მასპინძლებს შანსი არ დაუტოვეს. არადა, თუ ბურთის ფლობის სტატისტიკას შევხედავთ, „აიაქსის“ უპირატესობა თვალსაჩინოა. თუმცა, მატჩს გოლი იგებს და არა ბურთის ფლობა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| 2.რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 8 |
| 3.აიაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| 4.სიტი | 5 | 0 | 3 | 2 | 7:10 | 3 |

# უნდა შეჩერდეს თუ არა თბილისში მიმდინარე მშენებლობები?

ეკა ირემაშვილი

უნდა შეჩერდეს თუ არა თბილისში მიმდინარე მშენებლობები? – ამ საკითხზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით სამინისტროს დარბაზში მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მოადგილეები მარინე მიზანდარი და ხათუნა ხუნდაძე, ასევე მოწვეული სტუმრები – არქიტექტორ-ურბანისტები, ამ სფეროში მომუშავე ხელოვნების ისტორიკოსები, იკომოს საქართველო, „თბილისის ჰამქარი“, იურისტები, არქიტექტურის მკვლევრები, თბილისის მერიის თანამშრომლები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

– ამ შეხვედრის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ისტორიული თბილისის მიმდინარე განაშენიანების, რესტავრაცია-რეაბილიტაციის საკითხებისა და, ზოგადად, თბილისის ურბანული განვითარების ტენდენციების განხილვა. დისკუსია შეეხო ასევე თელავსა და მცხეთაში მიმდინარე სამუშაო პროცესებს. შეკრების მიზანი იყო, საზოგადოებასთან შეთანხმებით შემუშავდეს საერთო პოზიცია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ურბანული განვითარების მხრივ, პროცესი გახდეს საჯარო განხილვის საგანი და, რაც მთავარია, მოკლე ვადებში გადაწყდეს მიმდინარე პროექტების სამომავლო პერსპექტივები საფრთხის თავიდან აცილებისა და სწორი განვითარების მიზნით, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

იმდენად დიდი აღმოჩნდა ინტერესი ძველ თბილისში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით, რომ კულტურის სამინისტროში მრგვალი მაგიდის ნაცვლად დაინტერესებული პირები მთელ დარბაზში გაერთიანდნენ.

– კულტურის სამინისტროში არაერთი განცხადება და წერილია შესული არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის ისტორიულ უბნებში სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უხარისხოდ მიმდინარეობს ან ჩატარდა და ამით ძველ თბილისს ისტორიული და კულტურული ფასეულობა ეკარგება, ამიტომ მოვაწყვეთ ეს დისკუსია. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, როგორ დაგვეკმაყოფილებინა ფართო სამოქალაქო საზოგადოების სურვილი. რიგითი მოქალაქეების გარდა, ამ საკითხით დაინტერესებული არიან არქიტექტორები, ექსპერტები, ურბანისტები. მათ უნდოდათ, საჯარო გამხდარიყო ამ საკითხებზე მსჯელობა. ამიტომ მოვიწვიეთ მრგვალი მაგიდა, თუმცა, იმდენი ხალხი მოვიდა, რომ მრგვალი მაგიდა აღარ გამოგვივიდა. აქ ყველა დაინტერესებული მხარეა. საბოლოოდ ამ დისკუსიის შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარეობს უმასშტაბო მშენებლობები, არ არის გათვალისწინებული ის გარემო, სადაც ეს მშენებლობები მიმდინარეობს, ამით ვკარგავთ კულტურული მემკვიდრეობის კულტურულ ნიმუშებს და უკვე ჩამოყალიბებულ ლანდშაფტსაც, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარმა.

**„ტფილისის ჰამქრის“ ხელმძღვანელი ალეკო ელისაშვილი:**

– წლების განმავლობაში თბილისის ძველი უბნების პრობლემატიკაზე „ვიბრძოდი“, თუმცა, პირველი შემთხვევაა, როდესაც კულტურის სამინისტროში ამ საკითხზე საჯარო დისკუსია-საუბრები დაიწყო. მიმაჩნია, რომ საერთო აზრის ფორმირებით უნდა მოხდეს თბილისის მერიის მიერ გაცემული ახალი მშენებლობების შეჩერება, დაწყებულ მშენებლობებს კი აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ძველი თბილისის ისტორიული იერსახე აღარ დამახინჯდეს.

**არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კოკა ამირეჯიბი:**

– გასულ პერიოდში რაც მოხდა თბილისის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით, იყო კატასტროფა. ამ დროს თბილისზე გადაიარა უხარისხო სარეაბილიტაციო სამუშაოების ტალღამ და ამის შედეგს უკვე დღეს ვიმკით. ეს შეხვედრაც, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულია, მაგრამ რაღაცის გამოსწორება მაინც შეიძლება, ამიტომაც ვართ აქ.



შეხვედრის ბოლოს მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა შეიმუშავეს დეკლარაცია და ხელი მოაწერეს. მასში ნათქვამია:

„ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვაცხადებთ, რომ მინიშნებულ ტერიტორიებზე თბილისში: რუსთაველის 29 – ყოფილი „იმელის“ შენობის უკან სასტუმრო „მილენიუმის“ პროექტი; გუდიაშვილის მოედანი (ძეგლი) – რეკონსტრუქცია; პურის მოედანი №1-2 (ძეგლი) – სასტუმრო ან მრავალფუნქციური შენობა; ათონელის 27 (ძეგლი) – ყოფილი ამერიკის საელჩოს უკან მინის მოცულობა; შავთელის 17 (ძეგლი) – რეკონსტრუქცია; შავთელის 17ა – სასტუმრო „ამბასადორი“; ქიაჩელის 5 – ისტორიულად გაუნაშენებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსი; თარხნიშვილის 4 – სამშობიაროს შენობის ადგილზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; რიყე – მუსიკალური თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობა; კოსტავას 43 (ძეგლი) – მშენებლობა ჟორდანიას ინსტიტუტის ეზოში; აბანოს შესახვევი 4-6-7-8 – ისტორიული განაშენიანების აღდგენა; გრიშაშვილის 3 /ახუნდოვის ქუჩა – მშენებარე სასტუმრო; რუსთაველის 42 – გამომცემლობა „მერანის“ ეზოს რეკონსტრუქცია; პეტრიაშვილის 1 (ძეგლი) – ღვინის ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი; რუსთაველის 7 – ყოფილი „მხატვრის სახლის“ ადგილზე მრავალფუნქციური კომპლექსი; საქანელას ქუჩის განაშენიანება – მრავალფუნქციური კომპლექსი; მირზა-შაფის ქუჩის განაშენიანება; დოდო აბაშიძის 10 (ძეგლი) – ყოფილი საქვაბის (ძეგლი) ტერიტორიის დემონტაჟი; ერეკლე მეორის მოედანი; მეტეხის კბოდის განაშენიანება; მეტეხის აღმართი. მცხეთაში: კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, მათ შორის სვეტიცხოვლის მიმდებარე ჭალების ტერიტორიებზე მიმდინარე და დაგეგმილი ახალმშენებლობები. თელავში: ბატონის ციხის კომპლექსის რეკონსტრუქცია. ბათუმში: ფოსტის შენობა; თოჯინების თეატრი – ამ ადგილებში მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას, ქალაქების სახესა და ურბანულ განვითარებას. აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული პროექტებისა და მიმდინარე სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება, დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭოს შექმნა და ამ საბჭოს მიერ თითოეული პროექტის საფუძვლიანი განხილვა“.

# მთავარი პროკურორი საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს შეხვდა



საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა.

პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავარი პროკურორი მათ იმ ღონისძიებების შესახებ ესაუბრა, რომელიც პროკურატურამ, უკანასკნელ პერიოდში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გაატარა.

პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბარი შეეხო სამართლებრივ დევნას შსს-ს მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ. არჩილ კბილაშვილმა დეტალურად განუმარტა უცხოელ დიპლომატებს, რა გახდა მათი დაკითხვისა და დაკავების მიზეზი, რაში ედებათ ბრალი და რა მტკიცებულებებს ემყარება სისხლის სამართლის საქმე. მთავარმა პროკურორმა იმის შესახებაც ისაუბრა, თუ რა გახდა პროკურატურის მხრიდან აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის მოთხოვნის მიზეზი.

„მე უკვე მეორედ ვხდები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მთავარი პროკურორის რანგში, პასუხი გავეცი კითხვებს, რომლებიც მათ აქვთ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რათა საერთაშორისო საზოგადოებაც ისევე სრულად იყოს ინფორმირებული ამ საკითხებზე, როგორადაც ინფორმირებულნი არიან საქართველოს მოქალაქეები. იმედი მაქვს, რომ მათ პასუხი ყველა კითხვაზე მიიღეს“ – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მთავარი პროკურორის განცხადებით, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რაც პროკურატურის სიტემის მეტ გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს.

ნიუსპრესი

# თბილისში საერთაშორისო ფორუმი გაიმართება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

და ინგლისურ ენებზე, რაც ზრდის მის დანიშნულებასა და რეალიზაციის არეალს. კრებულში ფართოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე ქართული დრამატურგიის ტენდენციების ანალიზი საკუთრივ დრამატურგიასთან ერთად.

ეს არის ოცწლიანი პერიოდის კომპლექსურად გააზრების პირველი მცდელობა ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსების მიზნით. ამ უმნიშვნელოვანესი, აქტუალური და პრობლემატური საკითხის კვლევაში ქართველებთან ერთად ჩართული იყვნენ უცხოელი თეატრის კრიტიკოსები და დრამატურგები ლიტვიდან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, რომლებმაც წარმოადგინეს „ახალი დროის“ ავტორები და შეეცადნენ, გაეანალიზებინათ თეატრსა და დრამატურგიაში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები საკუთარი ქვეყნის მაგალითზე. ეს გამოცემა კარგი საჩუქარია არა მხოლოდ ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, არამედ ქართველი და უცხოელი რეჟისორებისთვის, რომლებიც ხშირად უჩივიან თანამედროვე პიესების თარგმანების ნაკლებობას. გამოცემა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თანამედროვე დრამატურგიისა და პროფესიული თეატრალური ლიტერატურის მთარგმნელობითი და კვლევითი ცენტრის, ილიაუნის თეატრის მხარდაჭერით. პოსტსაბჭოთა ქვეყნების დრამატურგიის კრებულში დაბეჭდილია ახალი თაობის ცნობილი დრამატურგების დიანა ბალიკოს, ნინა ბელენიცკაიას, ნედა ნეჟდანას, ისმაილ იმანოვის, ნათელა ოსმანლის, ვლადიმერ სნეგურჩენკოს, იულიუს კელერასის, ელჩინის, კარინე ხოდოკიანის, ლაშა ბუღაძის, რეზო კლდიაშვილის, ნიკუშა ანთაძისა და ოთარ ქათამაძის პიესები. გამოცემის შემდეგ ილიაუნის თეატრში გაიმართება პიესების „თეატრალიზებული კითხვა“, რომელიც მოამზადეს ახალგაზრდა რეჟისორებმა ირაკლი გოგიამ, პაატა ციკოლიამ, ნინი ჩაკვეტაძემ, გიორგი ჩხაიძემ, გიორგი ლომთაძემ და სხვებმა. „თეატრალიზებულ კითხვებში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო სპეციალობის სტუდენტებიც მონაწილეობენ, – განმარტა თეატრმცოდნემ.

საერთაშორისო ფორუმის პროგრამა უკვე გაწერილია და მისი მონაწილეებიც ცნობილია. საერთაშორისო ფორუმი 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნება, ჩატარდება პლენარული სხდომა „პოსტსაბჭოთა დრამატურგია ბელორუსიასა და რუსეთში“, რომლის მოდერატორია რაზიდა ზიგიენე (ლიტვა).

**შვეულად**: 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული გასართობი თავსატეხის შემქმნელი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ჯიხვების ჯოგი; 6. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. პატარა არია ოპერაში; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. ჭადრაკის ფიგურა; 14. მომთაბარე არაბი; 15. ქალაქი იმერეთში; 19. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**თარაზულად**: 1. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 4. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში; 7. კენიის დედაქალაქი; 9. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 10. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. გავლენა, ავტორიტეტი; 16. პიკნიკი ბუნების წიაღში, როდესაც მწვადით უმასპინძლდებიან სტუმრებს; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. გრუნდიგი; 4. ბათუმი; 7. ხიხვი; 9. ატოლი; 12. პროდიუსერი; 14. საირმე; 15. დიადორა; 17. ქუვეიტი; 20. ქლორი.

**თარაზულად:** 5. რეფერეტი; 6. მარსალა; 8. ოპუნცია; 10. სუვენირი; 11. სტრიტი; 13. შეიკერი; 16. მიკიტანი; 18. კუკია; 19. იანძი; 21. ოლიმპო; 22. არმატურა; 23. პორტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. ეგზემა; 3. ვარჯი; 5. გობი; 6. როლერი; 8. ბარონი; 11. მაჟესტიკი; 13. გლუკოზა; 14. ბურვილი; 15. ლიგნიტი; 19. დოლი.

**თარაზულად:** 1. ჰაჯიბეკოვი; 4. ჩონგური; 7. ნარკოზი; 9. ჯანაოზი; 10. იმამი; 12. ბროსნანი; 16. ყინწვისი; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამვოლი; 21. პატი; 22. მიუზიკლი.

## გილოცავთ!



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს სათნოებითა და კეთილშობილებით მოსილ 90 წლის ქალბატონს

ციცინო ივანიშვილს.

საქართველოს საამაყო გმირ დედას, აწ განსვენებულ ძვირფას მეუღლესთან ბატონ გრიგოლთან ერთად, ორი ქალიშვილისა და სამი ვაჟიშვილის აღმზრდელს, რომლის უმცროსმა ვაჟმა, ბატონმა ბიძინამ თავისი გამჭრიახი გონებით, შორსმჭვრეტელობით, გაწონასწორებული მოქმედებებით, ძლიერი სტრატეგიითა და წინდახედულებით.

ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან იხსნა ქართველი ერი და ჩვენი ბედკრული სამშობლო – საქართველო.

წმინდა გიორგის მადლი ჰფარავდეს ქალბატონო ციცინო თქვენს შვილებს, შთამომავლობას და სრულიად საქართველოს.

ღრმა პატივისცემით, ბონდო კოზაძე, ფონდის პრეზიდენტი, დავით ალმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი

# საჰაერო იერიშს დამასკოში 15 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

სირიის სამთავრობო ძალებმა დამასკოს ერთ-ერთი უკანასკნელი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია დაბომბეს, რასაც 15 ადამიანის, მათ შორის ოთხი მშვიდობიანი მოქალაქის – ექიმის, პაციენტისა და ორი ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ეს უკვე მეექვსე შეტევაა ჰოსპიტალზე, სადაც მოხალისე ექიმები დაბომბვების შედეგად დაზარალებულებს მკურნალობენ. საერთო ჯამში კი ოთხშაბათს სამთავრობო ძალების ერთიანი იერიშის შედეგად დამასკოში 40 ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებმა სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს ვიდეო, სადაც ნათლად ჩანს, როგორ ფეთქდება ბომბები საავადმყოფოს შესასვლელში. ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას 2011 წლის გაზაფხულიდან, უკვე 37 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შეგახსენებთ, რომ მეზობელი სირიისაგან დასაცავად თურქეთმა ნატოს სირიის საზღვარზე „პეტრიოტების" განლაგება სთხოვა. ცოტა ხნის წინ ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადება გავრცელდა, სადაც საუბარია, რომ ნატოს ჯგუფი თურქეთს „პეტრიოტის" რაკეტების შესაძლო განლაგებასთან დაკავშირებით მომავალ კვირას ესტუმრება.

# იაპონელმა მამაკაცმა მძევლები აიყვანა და პრემიერის გადადგომას ითხოვს

იაპონელი მამაკაცი აიტის პრეფექტურის ქალაქ ტოიოკავას ერთ-ერთ ბანკში შევარდა და მძევლად ბანკის ხუთი თანამშრომელი აიყვანა, აქედან ორი ბანკის კლიენტია, სამი კი საფინანსო განყოფილების თანამშრომელი.

მამაკაცი ჟურნალისტებთან შეხვედრას, ქვეყნის პრემიერის იოშიჰიკო ნოდას და მთლიანი მინისტრთა კაბინეტის გადაყენებას, აგრეთვე წყლის და საკვებით მომარაგებას ითხოვს.

ადგილზე მობილიზებულნი არიან სამართალდამცავები. მათი განცხადებით,სატელეფონო შეტყობინება მომხდარის შესახებ ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში, ერთ-ერთი ბანკის თანამშრომლისგან შევიდა, რომელმაც თავდასხმის მომენტში გაქცევა მოახერხა.

იოშიჰიკო ნოდა იაპონიის ქვეყნის 95-ე პრემიერ-მინისტრია. მას ქვეყნის მართვა ურთულეს პერიოდში უწევს, რომელშიც იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად აღმოჩნდა. ქვეყანა დამანგრეველი მიწისძვრის და ცუნამის შედეგების აღმოფხვრას ცდილობს. ასევე ჯერ კიდევ არსებობს სტიქიისგან დაზიანებული ფუკუშიმას ატომური რეაქტორის გაჟონვის შედეგები.

ამას გარდა, ახალ პრემიერ-მინისტრს ეკონომიკური კრიზისი დაძლევაც მოუწევს, რომელიც იაპონიის ერთერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

# ექვსეულს" ირანთან მოლაპარაკების გამართვა რაც შეიძლება მალე სურს



„როიტერის" ცნობით, ირანის ბირთვულ პროგრამაზე სასაუბროდ, გუშინ, ბრიუსელში მსოფლიოს წამყვანი ქვენები ე.წ „ექვსეული" შეიკრიბა, სადაც გადაწყდა რომ ირანთან მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე გამართონ. ზუსტად უცნობია თუ რა დეტალებზე შეთანხმდნენ ამერიკელი, რუსი, ფრანგი, ჩინელი, დიდი ბრიტანელი და გერმანელი დიპლომატები, თუმცა შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ ირანთან„აუცილებელი კონტაქტი უახლოეს დღეების განმავლობაში შედგება".

შეგახსენებთ, რომ დასავლეთს ირანის ბირთვულ პროგრამაზე მუშაობასთან დაკავშირებით მკაცრი ეკონომიკური სანქციები აქვს დაწესებული. ირანი თავის მხრივ აცხადებს, რომ მისი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნა არ არის და ამ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

ცოტა ხნის წინ, აშშ-მა ირანის წინააღმდეგ ცალმხრივი საქციების ახალი პაკეტი დაამტკიცა. მისი ფორმულირებაა „ადამიანის უფლებების დარღვევის, მასობრივი განადგურების იარაღის და ტერორიზმის მხარდაჭერისთვის". აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სადამსჯელო ღონისძიებები შეეხო 17 ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

მათ შორის არიან კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მინისტრი რეზა ტაგიპური, ირანის კულტურის სამინისტრო და მას დაქვემდებარებული პრესაზე ზედამხედველობის სამსახური, ირანის ნავთობის ნაციონალური კომპანია, ქვეყნის მართლწესრიგის დაცვის ძალების უფროსი ისლამ აჰმადი მოჰამედი. შავ სიაში ასევე მოხვდნენ, სახალხო ლაშქრის ძალების მეთაურის მოადგილე ალი ფაზლი, ერაყში მოქმედი და ირანის მიერ მხარდაჭერილი დაჯგუფება „ჰატაიბ ჰეზბოლას" ლიდერი კარიმ ჯაფარ მუჰსინ ალჰამინი და მისი ორი თანამებრძოლი. ასევე სხვა პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან.

სიაში აღმოჩნდა თეირანის იმამ ჰუსეინის სახელობის უნივიერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი. სხვა დაწესებულებები და ფიზიკური პირები.

საქციების მიხედვით, „შავ სიაში" მოხვედრილ ფიზიკურ პირებს ეკრძალებათ აშშ-ში ჩასვლა. მათი და სიაში მოხვედრილი კომპანიების და ფიზიკური პირების აშშ-სთვის ხელმისაწვდომი აქტივები გაიყინება.


ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მშობლებს – მერი კაპანაძესა და ვლადიმერ მოდებაძეს, მეუღლეს – მაკა ბაიდაურს, ახლობლებსა და ნათესავებს თანავუგრძნობთ

**ვალერი მოდებაძის**

დაღუპვის გამო.

*გულიკო ბალაძე ოჯახით*

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8


# ისრაელი და ჰამასი" დაზავდნენ



ეგვიპტის შუამდგომლობით, ისრაელი და პალესტინური დაჯგუფება „ჰამასი" ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. 8 დღიანი ორმხრივი ცეცხლის შემდეგ, რომლის დროსაც 140 ზე მეტი პალესტინელი და ისრაელის 5 მოქალაქე დაიღუპა, ეგვიპტისა და დასავლეთის ჩარევის შედეგად მხარეებმა როგორც იქნა საერთო ენა გამონახეს. რაც შეეხება თავად დაპირისპირებულ მხარეებს, „ჰამასმა" ზავის დადება 8 დღიან კონფლიქტში საკუთარ გამარჯვებად გამოაცხადა, ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნათანიაჰუმ კი განაცხადა, რომ თუ „ჰამასის" მხრიდან ზავის პირობები დაირღვევა, ისრაელი ახალი ძალით და უფრო მკაცრად უპასუხებს პალესტინურ აგრესიას.

თავის მხრივ, „ჰამასის" ლიდერმა ხალედ მეშალმა ისრაელის შეტევას „მოღალატური აგრესია" უწოდა და ასევე გააფრთხილა ისრაელი, რომ „ჰამასი" მხოლოდ მაშინ დაემორჩილება ზავის პირობებს, თუკი ისრაელიც იგივეს გააკეთებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მის მეომრებს „თითი ჩახმახზე აქვთ".

ისრაელის თავდაცვის არმია ქვეყნის სამხრეთში მოვლენების შემდგომ განვითარებას არ ელის. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან 12 საათის შემდეგ არმია გაწვეული რეზერვისტების თანდათანობით დემობილიზებას შეუდგება.

საუბარი მიდის 60 ათას სამხედროზე. სავარაუდოდ, ამ რაოდენობის ჯარისკაცების დემობილიზება ორ-სამ დღეს დაიკავებს.

თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა ამ დილით განაცხადა, რომ ყველა რეზერვისტი დემობილიზებული იქნება. „მართალია არმიაში დარჩება სამხედროთა ჯგუფი, რომლებიც ადრე დასახული ამოცანების შესრულებას გააგრძელებს, მაგრამ ისინიც კი მალე საკუთარ სახლებს დაუბრუნდებიან", – განაცხადა მინისტრმა.

საერთაშორისო თანამეგობრობა მიესალმა ზავის დადებას და ეგვიპტის, როგორც მედიატორის როლს. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებით, პრეზიდენტ მურსის მთავრობამ ამ ნაბიჯით „რეგიონული ლიდერის როლი" მოირგო. ზავის მიხედვით, ეგვიპტე ასევე ოფიციალური დამკვირვებლის ამპლუას მოირგებს, რომლის უპირველესი მოვალეობა მხარეთა მიერ ზავის პირობების შესრულების მონიტორინგი იქნება.

სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, ისრაელის ჯარმა პალესტინის ტერიტორიაზე 55 „ჰამასის" წევრი დააკავა. „ვესტნიკ კავკაზას" ინფორმაციით კი, დაკავებულთა შორის პალესტინის შეიარაღებული ფორმირებების ერთ-ერთი ლიდერია.

გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადებით, რომელიც მან უშიშროების საბჭოს წევრების წინაშე თელავივიდან ვიდეოჩართვისას გააკეთა, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ისრაელსა და პალესტინას შორის, ეს არის უფსკრულში ჩაჩეხვისგან თავის დაღწევა.

„მივესალმები დღევანდელ გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მივესალმები უფსკრულში ჩაჩეხვისგან თავის დაღწევას და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ეგვიპტის პრეზიდენტს მოჰამედ მურსის ამ შერიგებაში განსაკუთრებული როლისთვის",-განაცხადა პან გი მუნმა.

ამ დროისთვის უშიშროების საბჭოს წევრები დახურულ კარს მიღმა აღმოსავლეთ რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობენ, მოარული ხმებით, ამერიკის მიერ წარდგენილ პროექტს უკმაყოფილებით შეხვდნენ არაბული ქვეყნები.

ამასთანავე, შეთანხმების შემდეგ პალესტინურმა მხარემ ისრაელის მიმართულებით რამდენიმე რაკეტა მაინც გაუშვა, თუმცა ამაზე ისრაელს აღარ უპასუხია.

# ევროკავშირი ბიუჯეტის განხილვას იწყებს



ევროკავშირის ლიდერები გაერთიანების შვიდწლიანი ბიუჯეტის განხილვას იწყებენ. ისეთი ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის დაფინანსებაზე დიდად არიან დამოკიდებულნი (მაგალითად პოლონეთი და მისი მეზობელი ყოფილი კომუნისტური ქვეყნები), არსებული დანახარჯების შენარჩუნებას ან გაზრდას უჭერენ მხარს. თუმცა, დიდი ბრიტანეთი და სხვა კონტრიბუტორი ქვეყნები აცხადებენ, რომ შემცირება აუცილებელია.

ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ოფიციალურად 2014-2020 წლების მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო დოკუმენტი ჰქვია, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ უკვე შეადგინა.

„ბი-ბი-სის" ცნობით, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა უკვე განაცხადა, რომ თუ ახლა ბრიუსელში შეთანხმება ვერ მოხდა, მომავალი წლის დასაწყისში ახალი სამიტის გამართვა გახდება საჭირო.

გუშინ, ევროპის პარლამენტში გამოსვლისას ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროსომ აღნიშნა: „არავინ მსჯელობს ინვესტიციებს ხარისხის შესახებ. ყველა მხოლოდ და მხოლოდ შემცირებებზე საუბრობს".

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა აღნიშნა, რომ თუ რომელიმე ქვეყანა ევროკავშირის ხარჯების კიდევ უფრო ზრდის შესახებ მოწოდებას გააკეთებს, ის მის ვეტოს უფლებას გამოიყენებს.

ბრიტანეთი რომ საკმაოდ რთული პარტნიორია ევროკავშირისთვის ქვეყნებისთვის, ეს პარტნიორებს არაერთხელ აღუნიშნავთ, თუმცა, ბოლო კვირაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ექსპერტები და დიპლომატები ღიად საუბრობენ, რომ ევროკავშირი ბრიტანეთმა შეიძლება მალე დატოვოს.

ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი ევროკავშირის ბიუჯეტის გაყინვას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვეევაში ნებისმიერი ხარჯის დაბლოკვით იმუქრება.

საუბრობენ იმაზეც, რომ კემერონს რთული დღეები ელის – თუ მან ევრობიუჯეტს ვეტო დაადო, მაშინ პარტნიორებს გაანაწყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი პარტიის წევრებს, რადგან ისინი ბრიტანეთის ბიუჯეტის ხარჯზე, ევროკავშირის ბიუჯეტის გაზრდის წინააღმდეგნი არიან.

„ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ბრიტანელ პარტნიორებთან, დაწყებული 1973 წლიდან, მუშაობა ადვილი არ არის, ჩვენ ამას მივეჩვიეთ, თუმცა ბრიატნეთში ბოლო კვირაში განვითრებული მოვლენები, მნიშვნელოვნად იცვლება",-აცხადებს ფრანგი დეპუტატი ალენ ლამასური.

ამ ფონზე, ევროკავშირში უძილობასა და დაქანცულობას უჩივიან. სამეცნიერო მტკიცებულებების მიუხედავად, უკანასკნელ ხანებში ევროკავშირის ლიდერებს ბლოკისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ღამის საათებში უწევთ ხოლმე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არა მათი ინდივიდუალური გადაწყვეტილების, არამედ დაძაბული რეჟიმის შედეგია.

ბრიუსელში სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის უკმაყოფილება და ჩივილი გაჭიანურებული სამუშაო დღის გამო. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ევროკავშირმა 25 სამიტი გამართა, უმეტესწილად ევროზონის კრიზისის მოსაგვარებლად, რომლებზედაც გადაწყვეტილებას როგორც წესი 8-12 საათიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგღა იღებდნენ, ან, უარეს შემთხვევაში, კონსენსუსის გამონახვას საერთოდ ვერ ახერხებდნენ.

„როგორ გითხრათ: გუშინ დილის 5 ზე ავდექით და (მოლაპარაკებებს) დღეს დილის 4 ისთვის მოვრჩით",– აცხადებს სლოვაკეთის პრემიერ მინისტრი რობერტ ფიკო.

„ეს არის ზოგადი პრინციპი. ასე ვმუშაობთ და შესაბამისად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება წნეხის ქვეშ გვიწევს", – დასძინა მან. ძალების ხელახალი დაძაბვა ევროკავშირის ლიდერებს სულ მალე, საერთო ბიუჯეტის განხილვისას მოუწევთ.

ამასთან დაკავშირებით, ინგლისის ყოფილმა პრემიერმა, ტონი ბლერმა განაცხადა, რომ 2005 წელს მისი მონაწილეობა ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის დასამტკიცებელ ყრილობაში „მტანჯველი გამოცდილება" იყო, უფრო რთულიც კი, ვიდრე 1998 წელს ჩრდილოეთ ირლანდიასთან მოლაპარაკებები, რომელიც „კეთილი პარასკევის" შეთანხმებით დამთავრდა.

ბრიტანელის ამჟამინდელმა პრემიერმა, დევიდ ქემერონმა კი მთელი მომავალი კვირის განრიგი გადასწია, რათა დრო მთლიანად ევროკავშირს დაუთმოს. ასევე მოიქცა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდიც. სამედიცინო და სოციოლოგიის ექსპერტები თვლიან, რომ პასუხისმგებელ პირთა ასეთ „დაქანცულობას" პირდაპირი შედეგი აქვს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*



# TV პროგრამა

**პარასკევი 23 ნოემბერი**

07.30 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 08.30 დ/ფილმი „შინდი თეთრი/ 09.00 „გიორგობა" (პ/ტრ) 14.00 მხ/ფილმი „ამბავი ივანე კოტორაშვილისა" 15.00 დ/ფილმი „გზა მაცხოვრისა" 15.30, 16.00, 19.00, 19.30, 20.00, 03.15 „მოამბე" 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 სერ.„აგენტურა საიდუმლო სამსახური„(გ) 21.00 სერ.„საიდუმლო აგენტები" (გ) 22.00 „აქცენტები" 23.30 „გააგრძელე საქართველოს ისტორია" 00.00 „წითელი ზონა" 01.00 მხ/ფ. „ინგლისელი ქალი და ჰერცოგი" (გ) 03.35 მხ/ფ. „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" (მ. მაკკონახი) (გ) 05.45 მხ/ფ. „სრული იზოლაცია" (12)

08.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 „გიორგობა" (პ/ტ) 14.00 დ/ფ ათონის ქართველთა სავანე" 14.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები" – „თურქეთი" კაბადოკიის დაკარგული მიწები" 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 ქართული დ/ფ „დედაო ღვთისავ" 19.00 ქართული დ/ფ „გზა მაცხოვრისა" 21.45 ქართული მხ/ფ „ამაღლება" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ/ფ „მზის ჩასვლის შემდეგ" (ს. ჰაეკი) (12)

08.00 ან.ფილმი: „პიტერ პენი და მეკობრეები" 09.00 ქ.სერ. „ცხელი ძაღლი-3" (გ/ჩ) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.00 სერ. „უკვდავი ამბავი" 12.00 სერ. „მემკვიდრეები" (გ/ჩ) 13.00 სერ. „გაქცევა-2" 14.00 სერ. „თვალი არ მომაცილო" 15.00 ახალი ქართული ხმა (17.11.12 გ/ჩ.) 17.00 სერ. „მოჯადოებული" 18.00 სერ. „მეწამული ცა" 19.00 სერ. „სახიფათო ვნება" 20.00 ქ.სერ. „ჟავა და ლუდი-2" 21.00 სერ. „მემკვიდრეები" 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. „ცხელი ძაღლი-3" 00.00ს ტალღა (გ/ჩ) 01.00 სერ. „შერკინება□□ 01.45 მხ/ფ „დაუმარცხებელი" (უ. სნაიპსი) (15) 03.15 მხ/ფ „ძაღლური ცხოვრება" (ჯ. ლი) (18) (ტიტ) 04.55 მხ/ფ „ჩამსკრაბერი" (ჯ. ბელი) (15) (ტიტ) 06.50 მუსიკა

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ.„ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ. „იუდას ცოლი". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.30 პროფილი (გჰჩ) 18.45 სერ.„მგზნებარე გული" 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 21.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 ვანოს შოუ. 23.00 სერ. „მომავლის გაელვება" 01.00 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 08.50, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი06.10 მხ/ფ „ხარება და გოგია" II ნაწ. 07.25 დოკ/ფ „ჯგრაგ" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მანანა ტაბიძე „სახელი გიორგის ეტიმოლოგიის შესახებ" 08.45 ან/ფ „როგორ მოარჯულა წმინდა გიორგიმ 45 000 ადამიანი" 09.00 გიორგობა (ტრანსლაცია) 12.05 ამინდი 12.10, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 12.15 მხ/ფ " ამაღლება" 13.20 კონცერტი -ანს. „ქართული ხმები" და ანს.„ბათუმი" 14.25 მოკ/ფ „ღვინის ქურდები" 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია 15.10 კონცერტი-დები გოგოჭურები 16.05 დეკორატიული ფლორა 16.15 მხ/ფ „სამოთხის ბვრიტები" 17.05 დოკ/ფ „მოქცევაი ქართლისაი" 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.20 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ფიროსმანი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი (გოჩა საითიძე-კოსტანტინე ქართველი) 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „წმინდა დიდმოწამე გიორგი" 23.35 დოკ/ფ „კონსტანტინე ქართველი" 00.30 კვირიაკე 01.45 კონცერტი-ლიანა ისაკაძე და ევროპის ახალგაზრდული ორკესტრი

მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა„. 11.30, 22.00, 02.15 ყოველდღიური ამბები. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 04.50 თოქ-შოუ „პირდაპირი საუბარი„. 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„. 19.30, 00.55 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„. 22.20, 03.10 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 noemberi


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6623

ევრო —2,1246

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20–21, ღამით — 15–17.
**დასავლეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21–23, ღამით — 16–17
**სამხრეთ საქართველო:** დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16–17, ღამით — 7–8

## ამინდის პროგნოზი 23 ნოემბრისთვის






# მალე!
## „ახალ თაობასთან“ ერთად
## ბჳბთ 66 ოქროს ხანა

## ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება

1. რჩეული ქართული ზღაპრების სამტომეული
2. ჰიტლერი
3. ისტორიის უდიდესი ბრძოლები

## ·ᲓᲢᲯᲤᲕ ᲣᲤᲑᲡᲓᲤᲯᲑᲪᲝᲑᲧᲢᲡ= წარმატებული დღეა




**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ. რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — დღეს ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ლომი** — ახალ ბინაში გადახვალთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, ფული გექნებათ. **მორიელი** — თქვენით დაინტერესდებიან, გელით კარგი შემოთავაზება. **მშვილდოსანი** — ენერგიის აღდგენა გჭირდებათ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

ᲣᲑᲪᲔᲞᲓᲢ,Ს ,ᲢᲓᲧᲑᲢᲔ ᲓᲥᲢᲡ=

## h3xcjex3rb თ

**შვეულად**: 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. უმცროსი მატროსი გემზე; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. მაღალხარისხოვანი მინა; 9. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 12. ნიშან-თვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 15. მამლების ჩხუბი; 17. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტალური მუსიკალური ნაწარმოები; 20. მაღალმთიანი სოფელი ახმეტის რაიონში.

**თარაზულად**: 5. ტემპერატურის შკალას გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 10. უბანი სოხუმში; 11. შუა აზიასა და ირანში გავრცელებული გარეული ვირი; 13. ფიფას პრეზიდენტი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტიანი თლილი ქვა; 19. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 21. უზადო, უბიწო, უმწიკვლო; 22. წითელი, წვნიანი მარცვლების მქონე მაგარმერქნიანი ხილი; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*






## 19 ნოემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად
## „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“
## ოთხტომეულის მე-3 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ნიკოლა სარკოზი სასამართლოში გამოიძახეს



საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ბორდოს სასამართლოში გამოიძახეს 2007 წელს მისი საპრეზიდენტო არჩევნების საეჭვო დაფინანსებასთან დაკავშირებით.

სარკოზის ადანაშაულებენ იმაში, რომ ხუთი წლის წინ, მან საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ქლაბატონისგან, ფირმა „ლორეალის“ მფლობელისგან, ლილიან ბეტანკურისგან არალეგალური დაფინანსება მიიღო. ამ საქმესთან დაკავშირებით 2012 წლის ივლისის თვეში ექსპრეზიდენტის სახლსა და ოფისში საფრანგეთის პოლიციამ ჩხრეკაც ჩაატარა.

ნიკოლა სარკოზის სამომავლო გეგმა მხოლოდ ბორდოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. სარკოზი რაიმე ტიპის არაკანონიერ ქმედებას კატეგორიულად უარყოფს. მართალია, იგი სოციალისტ ფრანსუა ოლანდთან საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა, თუმცა უკვე განაცხადა რომ აპირებს 2017 წელს კვლავ იბრძოლოს პრეზიდენტობისათვის.

ნიკოლა სარკოზიმ საფრანგეთის პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა 2007 წლის 16 მაისს მას შემდეგ რაც არჩევნებში დაამარცხა სოციალისტური პარტიის კანდიდატი სეგოლენ რუაიალი.

გ. მ.

## ხახალეიშვილი სამინისტროსა და ყიფიანს ზეწოლაში ადანაშაულებს

გუშინ ძიუდოს ფედერაციაში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ხახალეიშვილმა შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა. ხახალეიშვილმა პოლიტიკურ ზეწოლაზე ისაუბრა, რომელიც მასზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანის მხრიდან განხორციელდა.

**დავით ხახალეიშვილი:**

— საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა დამიბარა. ჩვენს შეხვედრას პარლამენტის წევრი ლერი ხაბელოვი და ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მამუკა ხაბარელიც ესწრებოდნენ. მინისტრმა მითხრა, პრეზიდენტობის საკითხი გადაწყვეტილია და, თუ სურვილი გაქვს, ვიცეპრეზიდენტად დაგნიშნავთო. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან მსურს, არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის საკითხი ძიუდოს სამყარომ გადაწყვიტოს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები 26 ნოემბერს არის დანიშნული, პრეზიდენტის პოსტზე კი საკუთარი კანდიდატურები მამუკა ხაბარელმა და დავით ხახალეიშვილმა წარადგინეს. თავად ხახალეიშვილი აცხადებს, რომ არ აპირებს კანდიდატურის მოხსნას და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ჩააყენებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის მიერ გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სამინისტრო ფედერაციების საქმიანობაში არ ერევა.

მ. ჟ.

